ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება **N11**

2023 წლის 30 ივნისი

ქ. ქობულეთი

,,ქ.ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 20.42.12.355) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ნორმატიული აქტების შესახებ" მე-20 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ.ე" ქვეპუნქტის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს,**

მუხლი 1.

დამტკიცდეს ,,ქ.ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 20.42.12.355) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმა თანახმად თანდართული დანართისა.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

ქალაქი ქობულეთი,
2023 წელი

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების მეორე სტადია

ინიციატორი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია, მის: ქალაქი ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზ. N141.
მიმწოდებელი: შპს „ჰოლდინგ“(ს/ნ 448413066), მის: ხელვაჩაური, ს. ქვედა სალიბაური, მე-6, I ჩიხი N 4.

დაინტერესებული პირები:
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია;

საფუძველი: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 02 მარტის №ბ114.1142306118 ბრძანება „ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.12.305; ს.კ. 20.42.12.317 და ს.კ. 20.42.12.339) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 ივნისის №34 განკარგულება „ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 20.42.12.355) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“.

ქალაქი ქობულეთი,
2023 წელი

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

დოკუმენტის შემდგენელი პირები:

ზვიად ბურჭულაძე - არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი

სულხან მამუჭაძე - არქიტექტორი, იურისტი

ლევან ზაზაძე - ეკოლოგიის და გარემოს დაცვის დოქტორი

ბიძინა ბიბილეიშვილი - ავტომობილების და საავტომობილო მეურნეობის ინჟინერი

გიორგი წაქაძე - ტოპოგრაფ-გეოდეზისტი

ლაშა მიქელაძე - სოციოლოგი

ირაკლი ბურჭულაძე - ინჟინერ-ეკონომისტი, წავთობისა და გაზის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო განხრით სპეციალისტი

ნოდარ ლამპარაძე - ინჟინერ-გეოლოგი

სერგო ჭყონია - ფიზიკა ინფორმატიკა გამოთვლითი ტექნიკა დიპლომირებული სპეციალისტი, გეოსაინფორმაციო სისტემის, წყალმომარაგების ქსელის, მაღალტექნოლოგიურ სხვადასხვა გამზომი მოწყობილობებით მონაცემების მართვისა და ანალიტიკის სპეციალისტი

ტარიელ გოგიჩაიშვილი - ინჟინერ-ელექტრიკოსი

მაია მოწყობილი - მთარგმნელ-რეფერენდი, პედაგოგი

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი

1. გრაფიკული ნაწილი 5

1.1 განაშენიანების დეტალური გეგმა 6

2. ტექსტური ნაწილი 7

2.1. შემოკლებათა ახსნა 8

2.2. ტერმინთა განმარტება 8

2.3. შესავალი 10

2.4. განაშენიანების დეტალური გეგმის დასაბუთება 11

2.5. განაშენიანების მართვის რეგლამენტი 54

2.6 საპროექტო ნაკვეთის განაშენიანების ესკიზი 56

2.7. ინიციატივის გადაწყვეტილება, საკადასტრო მონაცემები და მიმწოდებლის რეკვიზიტები 64

2.8. სამართლებრივი საფუძვლები 72

2.9. დაგეგმვის გუნდი და კვალიფიკაცია 72

2.10. გამოყენებული დოკუმენტები 74

3. დანართები 75

1. გრაფიკული ნაწილი

1.1 განაშენიანების დეტალური გეგმა



ფუნქციური ზონა	ფუნქციურ ქვეზონა
საცხოვრებელი ზონა - სზ	საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა -სზ-3

უძრავი ქონების გამოყენების ნებადართული სახეობები:

ა) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი;
ბ) საშუალო ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
გ) სარჩეკრაციო საერთაშორისო და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა;
დ) სასტუმრო და სასტუმრო ტიპის საერთაშორისო საჭირო შენობა-ნაგებობა (მათ შორის, ორსაფეხურა და სათბური);
ე) კვების და სავაჭრო ობიექტი, რომელიც ემსახურება მხოლოდ დასახლებას;
ვ) საოფისედანიო და საკომუნალო დანიშნულების;
ზ) მცირე ზომის სახელოსნო, რომელიც არ არღვევს საცხოვრებლად ოპტიმალ პირობებს;
თ) რელიგიური ნაგებობები, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვითი და სამეორეო ობიექტი;
ი) საფოსტო-ტელეგრაფული ობიექტი;
კ) საბაგირო;
ლ) ინდივიდუალური საბუთრების და ტექნიკური დანიშნულების;
მ) ადმინისტრაციული ობიექტი;
ნ) ოფისი;
ო) ცალკე მდგომი და შენობაში ინტეგრირებული ავტოსადგომი.
საკომპლექსო წესით შეიძლება ასევე დასაშვები იყოს:
ა) მცირე ზომის სახელოსნო ობიექტი, რომელიც არ არღვევს საცხოვრებლად ოპტიმალ პირობებს;
ბ) სავაჭრო ობიექტი;
გ) ავტომატიზმსარეო საშუალების მომსახურების ობიექტი.

განაშენიანების ძირითადი პარამეტრები და ზღვრული მაჩვენებლების გადამეტების პირობები;

გეგმარებითი ერთეულის მიმართ განაშენიანების რეგულირების პარამეტრებია:

განაშენიანების კოეფიციენტი	კ1 -0,5
განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი	კ2 -1,8
გამწვანების კოეფიციენტი	კ3 -0,3

მიწის ნაკვეთის/ობიექტის №/კ: 20.42.12.355; დადგენილია განაშენიანების რეგულირების პარამეტრები:

განაშენიანების კოეფიციენტი	კ1 -0,5
განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი	კ2 -4,5
გამწვანების კოეფიციენტი	კ3 -0,1

განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ზღვრული მაჩვენებლების გადაზღვევა, მხოლოდ საჯარო განხილვების შემდეგ.

განაშენიანების სახეობა - ღია

განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელი ხაზები გავლებულია საკადასტრო საზღვარზე, განაშენიანების სავალდებულო (ლურჯი ხაზები) ხაზი გავლებულია გზის მხარეს მდებარე ნაგებობის ხაზიდან 3 მეტრის, გარდა ს/კ 20.42.12.305 მიწის ნაკვეთზე დ. აღმაშენებლის მეორე ჩიხის მხრიდან, სადაც გავლებულია 12.2 მ-ის წითელი ხაზიდან.

სამშენებლო მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი შეადგენს 400 მ2.

მაქსიმალური სიმაღლე ქუჩის ფონიდან 65 მ

სართულები ტერიტორიაზე ავტომობილების სადგომი ადგილების რაოდენობა 122 მიწისქვეშა და 35 მიწისზედაა

ესთეტიკურ პარამეტრები:

საინჟინრო ინფრასტრუქტურის განთავსება უნდა განხორციელდეს არხებში. მიწისქვეშა არხებში ღია წვდომებით, თუ ტერიტორიაზე არ არსებობს მიწისქვეშა ინფრასტრუქტურა ასევე შეუძლებელია ამ ინფრასტრუქტურის განთავსება, მაშინ აღნიშნული უნდა განხორციელდეს ახალი ტრანშეების მოწყობით.

სარეკლამო ბანერის-განათება, გაფრინების, კონსტრუქციის და სხვა მსგავსი მოწყობილობები დასაშვებია უნდა განთავსდეს შენობის მიღმა. სხვა შემთხვევაში უნდა მოხდეს მათი შენობასთანშეხების დეტალებიანი ელექტრული ელექტრული (ელექტრო, ტანსა და სხვა) და მათი არქიტექტურულ მხატვრული მხარეების ესთეტიკის ერთიან კონცეპტს უნდა ემსახურებოდეს. არ არის რეკომენდირებული ბანერი მოწყობილობა/დანადგარების საზოგადოებრივი სივრცის მხარეს განთავსება.

ანტენები (საკელულური, საკუთვნილო და სხვა) უნდა განთავსდეს სახურავზე ტექნიკური ინფრასტრუქტურის შემთხვევაში დასახულია მათი განთავსება შენობის ფასადზე, ტარდა ტოტის მხარეს განთავსდეს ესპანური.
საკელულური შენობის ყველა ფასადზე, მათი ფართობის არანაკლებ 50% ზე, მოწყობილი იყოს ღიობები

შემოღობვის პირობები:

გეგმარებით ერთეულზე დაიშვებოდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების შემოღობვა ქუჩის მხრიდან

მიწის ნაკვეთი ისე უნდა იქნეს შემოღობილი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს განათებული, განიავების, დასახლების ორმხრივი ესთეტიკური ხარისხის შენარჩუნება, და სხვა საკენო ინტერესის დაცვა.
მიწის ნაკვეთის შემოღობვა შესაძლებელია:
ა) მიწის ნაკვეთის საზღვრებში ცმ საზღვრის პირზე;
ბ) მიწის ნაკვეთის საზღვრებზე (საზღაური საზღვარზე).

ღიობის მაქსიმალური სიმაღლეები

უკანა ეზო (საკენოების შემთხვევაში): - 1.8 მეტრამდე
ეკვრებოდეს ეზო მიწის ნაკვეთის მხარეს (საკენოების შემთხვევაში): - 1.8 მეტრამდე
ეკვრებოდეს ეზო ჩრდ ეზოს საზღვრებში (საკენოების შემთხვევაში) - ყრუ ღიობ ან ღიობის ნაწილი - 0 8 მეტრამდე
გამჭვირვალე ღიობის გამოსაყენებლად ღიობ - 1.8 მეტრამდეა

გამწვანების პირობები:

გეგმარებით ერთეულზე დაიშვება გამწვანების ვალდებულება მინიმუმ კ 3-ით განსაზღვრულ არეალში. ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური ფაქიზება მშენებლობა შენობასა და საზოგადოებრივ სივრცეში არსებულ ხეს მოხის არ უნდა იყოს 1 მეტრზე ნაკლები, თუ დაგეგმილი შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე არ აღემატება 5 მეტრს. სხვა შემთხვევა დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 3 მეტრისა.
დაიშვება მოთხოვნებიდან გამონაკლისები შეიძლება დადგინდეს შესაბამისი დეპარტამენტი დასკვნის საფუძველზე, ხე-ნარგავების სიცოცხლისუნარიანობის გათვალისწინებით ანსვა მათი შენარჩუნების პირობით.

სხვა პირობები:

ყველა სხვა პირობა, რომელიც ამ გეგმით არ არის დადგენილი, გამოიყენება 'ტერიტორიის გამოყენების და განაშენიანების რეგულირების დებულების' ზ-მიხედვით.

შემუშავების საფუძველი
„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილება „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილება „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ ; ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 02 მარტის №0114.1142306118 ბრძანება ქ. ქობულეთში, დაცილი აღმშენებლის გამზარდე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.12.305; ს.კ. 20.42.12.317 და ს.კ. 20.42.12.339) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიციირების თაობაზე“.

მაშტაბი

10 0 10 20 30 40

განაშენიანების დეტალური გეგმა

მიწ. ნ. კოლხეთის, აჭარის რაიონი ზღვისპირა ნაწილ 20.42.12.355.
მეზობელი ნაკვეთები 20.42.12.355; 20.42.02.223; 20.42.02.683; 20.42.02.831; 20.42.12.010; 20.42.12.338.

განაშენიანების დეტალური გეგმა

ექსპლიკაცია

- გეგმარებითი ერთეული
- საკადასტრო საზღვარი
- საპროექტო ტერიტორია
- შენობა
- ქუჩის ტერიტორია
- შენობა
- სზ3 საცხოვრებელი ზონა სზ-3

განაშენიანების სახეობა

ღ ღია ღ დახურული

0 ცალკე მდგომი ჯ მიბმული ჯ შეერთებული

ქალაქმშენებლობითი კოეფიციენტები

0.5 - კ1 1.8 - კ2 0.3 - კ3

X მაქს. დასაშვები სრთ.

TH მაქს. სიმაღლე ქუჩის დონიდან

განაშენიანების რეგულირების სავალდებულო ხაზები

საინჟინრო ინფრასტრუქტურა

- ტერიტორია
- წყალარინება საკანალიზაციო
- ელექტროენერგია
- წყალარინება საშინაურ.
- საბაგირო ხაზი
- გაზსადენი არხით

- ბუჩქი
- ფოთლოვანი ხე
- წიწვოვანი ხე
- მცენარე
- კაშხარბაბაშულობა
- განათების ბოძი
- ჯა
- სანიაღვრე ჯა
- ხის ღობე
- ქვის ღობე
- რკინ. ღობე
- მავთულის ღობე
- გადასასვლელი
- ავტობუსის გაჩერება

დამტკიცებულია

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ----.----. 2023 წ.

№ ---------- განკარგულებით

თანამდებობრივი / შემსრულებელი
შპს კოლდინგ
ქსარიე თანამდებობის საუფლებლის

შემოსაზღვრელი
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

2. ტექსტური ნაწილი

1. შემოკლებათა ახსნა

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული შემოკლებები აიხსნება შემდეგნაირად:

1) ქობულეთი – ქობულეთი მუნიციპალიტეტი, საკუთარ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში;
2) განაშენიანების მართვის რეგლამენტი – გეგმარებით ერთეულის განაშენიანების გეგმის (და/ან განაშენიანების დეტალური გეგმების) ტექსტური ნაწილი, შედგენილი გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად;
3) გდგ – განაშენიანების დეტალური გეგმა, კოდექსის 41-ე მუხლის შესაბამისად;
4) გეგმარებითი ერთეული – გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, წინამდებარე დავალებით არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 20.42.12.355, 20.42.02.223, 20.42.02.683, 20.42.02.831, 20.42.12.010, 20.42.12.338; 1 დაურეგისტრირებელი)) გდგ შემუშავებისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული დაგეგმვის ტერიტორიული ფარგლები;
5) გეგმების შემუშავების წესი – საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“;
6) გის – გეოინფორმაციული სისტემა;
7) დაგეგმარება – სივრცის დაგეგმარება (პროექტირება);
8) დაგეგმვა – სივრცითი განვითარების დაგეგმვა და/ან განაშენიანების მართვის დაგეგმვა;
9) დსს – კოდექსის მე-*14* მუხლით გათვალისწინებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის საინფორმაციო სისტემა“;
10) დღე – კალენდარული დღე, გარდა ტექსტში სპეციალურად მითითებულისა;
11) კვლევა – ხელშეკრულების ფარგლებში წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული პირობებით, მიმწოდებლის მიერ ჩატარებული გეგმების კონცეფციების შემუშავებისთვის საჭირო მოსამზადებელი (წინასაპროექტო) კვლევა;
12) კოდექსი – „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონი (N3213-რს, 2019 წ);
13) მერია – ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია;
14) მთავრობა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;
15) საკრებულო – ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
16) სამინისტრო – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;
17) სამსახური – მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური;
18) სანაპირო ზოლი – შავი ზღვის სანაპირო ზოლი ქობულეთის მუნიციპალიტეტის გასწვრივ;
19) საპროექტო მომსახურება – წინამდებარე დავალების საფუძველზე დადგენილი გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება და შემსყიდველისთვის მიწოდება;
20) საჯარო რეესტრი – სსიპ საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;21) სგშ – გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება;
22) სნდწ – სამშენებლო ნორმები და წესები;
23) ძირითადი დებულებები – საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის №261 დადგენილებით დამტკიცებული „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“.

2. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ საქართველოს კანონმდებლობაში განმარტებული/გამოყენებული მნიშვნელობები, დამატებით გამოიყენება ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები:

(1) აეროფოტო — საჰაერო გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;
(2) განაშენიანების ესკიზი — ქალაქგეგმარებითი ესკიზური პროექტი, რომელიც გდგ მიზნებისთვის არქიტექტურული დაგეგმარების ენაზე ასახავს გეგმარებით ერთეულში დაგეგმილი ცვლილებების შესაბამისი ფიზიკური გარემოს სამომავლო სურათს;
(3) დენდროლოგია — მერქნიანი მცენარეების შესწავლა, ტაქსონომია და აღწუსხვა, მათი სარგებლიანობის და გამოყენების საჭიროების დადგენის მიზნით;
(4) დრონი — ახლო მანძილის დისტანციური ზონდირებისთვის განკუთვნილი საფრენი მოწყობილობა;
(5) ესთეტიკური პარამეტრები — შენობა-ნაგებობის ესთეტიკური წყობის განმსაზღვრელი მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც და რომლის მაჩვენებლებიც დგინდება განაშენიანების მართვის რეგლამენტით, დაგეგმვის მიზნების და/ან დაგეგმილი ცვლილებების შესაბამისად;
(6) კომპიუტერული გრაფიკა — კომპიუტერული ტექნოლოგიის (აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა) გამოყენებით შექმნილი/მიღებული გრაფიკა;
(7) ვიზუალიზაცია — დაგეგმილი თუ დაგეგმარებული წარმოსახვითი ფიზიკური გარემოს სხვადასხვა კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით შექმნილი გრაფიკული გამოსახულება (სურათი, დიაგრამა და/ან ანიმაცია);

(8) ზედა დონე — სივრცითი დაგეგმვის ტაქსონომიაში, შესაბამისი კვლევების და დაგეგმვის მაკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც აღწერს უფრო მეტად აბსტრაქტული ხასიათის მონაცემებს და მათ კორელაციებს; სადაც საერთო მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი კონცენტრირებულია უფრო მეტად ფართო, მთლიან სისტემაზე;

(9) ინტერეს-წერტილი — სივრცით დაგეგმვაში, ასევე ტოპოგრაფიასა და კარტოგრაფიაში, განსაზღვრული სივრცე ან ადგილმდებარეობა, გამოსახული ნივთიერ-წერტილის სახით, რომელიც კონკრეტული მიზნებისთვის (ადამიანთა მოღვაწეობის/საქმიანობის თვალსაზრისით) წარმოადგენს ინტერესის და/ან მიზიდულობის ობიექტს;

(10) კომიუტერი — ადამიანი, რომელიც რეგულარულად გადაადგილდება საცხოვრებელი ადგილიდან დასახლებათშორის მანძილზე დაშორებული სამუშაოს/სასწავლებლის მიმართულებით. როგორც წესი 1 დღე-ღამის ინტერვალით;

(11) კოსმოფოტო — სატელიტური გადაფრენით შესრულებული ორთოფოტოგადაღება;

(12) ლიდარი — მიწისზედა გამოყენებითი ფოტო-გრამმეტრიული მეთოდი, რომლისა საშუალებითაც გაიზომება მანძილი ობიექტამდე, მასზე ლაზერის სხივის მინათებით;

(13) ლიმიტაცია — გარემო ფაქტორების ერთობლიობა, რომლებმაც დაგეგმვის მიზნების ფორმირებისას ინტერესთა შეჯერების პროცესი შეზღუდეს ან შეუძლებელი გახადეს;

(14) მაკომპენსირებელი ღონისძიება — კოდექსის 41-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიება, რომელიც აუცილებელია ძირითადი დებულებებით დადგენილი კ¹/კ² ზღვრული მაჩვენებლების გადამეტებისას.

(15) მასშტაბი — ფიზიკურ გარემოში გაზომილი სხეულების გამოხატვის/გამოხაზვის დროს შემცირების ზომა. ასევე, რუკაზე, გეგმაზე ან სქემაზე მოცემული ხაზების სიგრძის შეფარდება ამ ხაზით გამოხატულ ნამდვილ სიგრძესთან. მასშტაბი სამი სახისაა: რიცხვითი, ხაზოვანი და სიტყვიერი;

(16) ორთოფოტოგადაღება — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ- ან წვრილ-მასშტაბიანი ფოტოსურათი, რომელიც დისტანციური ზონდირების მეთოდით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;

(17) საბაზისო რუკა — გეგმების შემუშავების წესის შესაბამისად, ტერიტორიის სივრცითი განვითარებისა და ფიზიკური გარემოს ფორმირების, მათ შორის მიწათდაფარულობის (არსებული სურათის) ამსახველი, დაგეგმარების საბაზისო დოკუმენტი, რომელიც მზადდება ციფრული (ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემაში) და/ან ბეჭდური (კარტოგრაფიული გეგმის/რუკის) სახით;

(18) საზოგადოებრივი სივრცე — განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში მდებარე ქუჩა, გზა, მოედანი, ხიდი, სკვერი, პარკი, ბაღი, ხეივანი, წყლის ზედაპირი და მისი სანაპირო ზოლი, ბუნებრივი ან ხელოვნური ლანდშაფტი, მიწის ნაკვეთებს შორის გასასვლელი და სხვა მსგავსი ტიპის სივრცეები და/ან მიწის ნაკვეთები, რომლებიც განკუთვნილია ან გადაცემულია საზოგადოებრივი მოხმარებისთვის, მათ შორის საჯარო სერვიტუტის გამოყენებით;

(19) საკვლევი არელი — წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის შემუშავებისთვის საჭირო კვლევების ჩატარების ტერიტორიული ფარგლები და/ან მონაცემების შეგროვების ინფორმაციული არე, რომელიც საწყის ეტაპზე ემთხვევა გეგმარებით ერთეულს და დამატებით დაზუსტდება განაშენიანების გეგმის კონცეფციების შეფასებისას, მერის/სამსახურის გადაწყვეტილებით;

(20) საკოორდინატო ბადე — მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული, ტერიტორიის აბსოლუტური ჰორიზონტალური ნიშნულების ერთობლიობა (WGS 84 კოორდინატთა სისტემასა და UTM პროექციაში), გამოსახული ორთოგონალურ ბადეზე;

(21) სამშენებლო პოტენციალი — ტერიტორიის განაშენიანებისა ან მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების დროს, განაშენიანების მართვის რეგლამენტით მათთვის დადგენილი ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვეების და/ან განაშენიანების რეგულირების პარამეტრების ათვისების შესაძლებლობა;

(22) საცხოვრებელი სიმჭიდროვე — ქალაქთმშენებლობითი სიმჭიდროვის ნაირსახეობა, სამშენებლო ტერიტორიაზე საბალანსო ერთეულისთვის დადგენილი საცხოვრებელი ერთეულის მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა ან ამავე ტერიტორიის ყოველ 1 ჰა-ზე (სფ/ჰა) ან შენობაში (სფ/შ), დაგეგმვის ამოცანების შესაბამისად;

(23) ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) გეგმა — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის მსხვილ-მასშტაბიანი (არაუმეტეს მ 1:10000) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინების გარეშე ასახავს ფიზიკურ გარემოს ინტერესებში;

(24) ტოპოგრაფიული (ტოპოგეოდეზიური) რუკა — ტერიტორიის ნაწილის ორთოგონალური პროექციის წვრილ-მასშტაბიანი (მ 1:10000 მეტი) ნახაზი, რომელიც პირობითი აღნიშვნების გამოყენებით, დედამიწის დონებრივი სიმრუდის გათვალისწინებით ასახავს ფიზიკურ გარემოს;

(25) უფლებრივი გარემო — საქართველოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი უფლებების ერთობლიობა, მათ შორის გამოხატული რეგლამენტებში, რეჟიმებში, ვალდებულებებში, საჯარო თუ კერძო ინტერესებში;

(26) ფიზიკური გარემო — ბუნებრივი გარემოსა და კულტურული (ანთროპოგენური) გარემოს ერთობლიობა;

(27) ფოტოგრამმეტრია — სამეცნიერო-ტექნიკური დისციპლინა, რომელიც გამოიყენება ობიექტების ფოტოგამოსახულების მიხედვით მათი ფორმების, ზომების, მდებარეობის და მსგავსი სივრცული მახასიათებლების განსაზღვრისთვის;

(28) ფოტოფიქსაცია — ტერიტორიის ფიზიკური გარემოს ასახვა ფოტოგადაღების მეთოდით,კონკრეტულ დროში მისი მდგომარეობის დაფიქსირების მიზნით;

(29) ქვედა დონე — სივრცითი დაგეგმვის ტაქსონომიაში, შესაბამისი კვლევების და დაგეგმვის მიკრო ხასიათი და მიზნები, რომელიც ფოკუსირებულია უფრო მეტად ინდივიდუალური ხასიათის მონაცემებზე და თავისებურებებზე; სადაც დაგეგმვის მიზნები და ამოცანების თავისებურებანი, როგორც წესი, კონცენტრირებულია მთლიანის ნაწილებზე და მათ ფუნქციონირებაზე;

ყველა სხვა ტერმინი, რაც მოცემულია ხელშეკრულების ან წინამდებარე დავალების ტექსტში და არაა განმარტებული ამ მუხლში, გამოიყენება კოდექსის, მისი ქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი სფეროს მოქმედ კანონმდებლობაში გამოყენებული მნიშვნელობითა და/ან მიზნებით.

2.3. შესავალი

წინამდებარე დაგეგმვის - განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ტაქსონომიური დონე იერარქიულად წარმოადგენს ქვედა დონეს და მიეკუთვნება ქალაქთმმშენებლობის გეგმებს.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-11 მუხლის შესაბამისად, განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი წარმოდგენილია გრაფიკული და ტექსტური ფორმით. გდგ-ს, როგორც ქვედა ტაქსონომიური დონის გეგმისათვის, გრაფიკული ნაწილი არის ძირითადი და ტექსტური ნაწილი – მისი დამხმარე.

განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი შემუშავებულია „ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.12.305; ს.კ. 20.42.12.317 და ს.კ. 20.42.12.339) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 02 მარტის №ბ114.1142306118 ბრძანების და „ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 20.42.12.355) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 ივნისის №34 განკარგულების საფუძველზე.

განაშენიანების დეტალური გეგმა წარმოადგენს ტერიტორიის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტს. განაშენიანების დეტალური გეგმის მოქმედების არეალში მდებარე მიწის ნაკვეთებზე მშენებლობა ნებადართულია ამ გეგმის შესაბამისად. განაშენიანების დეტალური გეგმა არის მშენებლობის ნებართვის გაცემის ძირითადი საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ გდგ-ს სისტემური რევიზიისას დღის წესრიგში დადგა განვითარების ხედვის ცვლილების საკითხი, აუცილებელია ახალი გდგ-ს შემუშავება. განაშენიანების დეტალურ გეგმაში ცვლილების შეტანის ინიცირების უფლება აქვს შესაბამის ინიციატორს, ასევე მუნიციპალიტეტის საკრებულოს ან სხვა ნებისმიერ პირს, შესაბამისი დასაბუთების წარდგენის საფუძველზე. სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობით გეგმებში ცვლილება შეიტანება ახალი გეგმების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის დადგენილი წესით.
განაშენიანების დეტალური გეგმა შედგენილია შემდეგი ასპექტების დაცვით:

- ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისათვის ღირსეული გარემოს შექმნა;
- ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნა და შენარჩუნება;
- დასახლებათა სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურის შენარჩუნება, განახლება და განვითარება;
- განაშენიანების რეგულირება, რომელიც ხორციელდება ქალაქმშენებლობითი გეგმების მეშვეობი;
- მიწის ნაკვეთების განვითარება, მათი გამოყენებისა და განაშენიანების კონკრეტული რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.
- მიწის რაციონალური გამოყენება;
- ეკონომიკის დარგების განვითარების უზრუნველყოფა;
- განვითარების გრძელვადიანი პოტენციალის შენარჩუნება და სათანადო უზრუნველყოფა;
- ეკონომიკური საქმიანობის წახალისება და ხელშეწყობა;
- ტერიტორიების განახლებისათვის ან/და ინტენსიფიკაციისათვის, მიწის მომჭირნედ და დაზოგვით გამოყენება, სივრცის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობის მომავლისათვის შენარჩუნება;
- სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ტერიტორიის ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება სხვა ერთეულებთან პარტნიორობის საფუძველზე;
- ინფრასტრუქტურის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება, სხვა მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების დაძლევა.

2.4. განაშენიანების დეტალური გეგმის დასაბუთება

I. დაგეგმვის ობიექტი და გდგ-ს შემუშავების წინაპირობები

დაგეგმვის ობიექტს წარმოადგენს ქალაქ ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი №836ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ს/კ. 20.42.12.355, სამშენებლოდ განვითარების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება. საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, სპორტული მოედნის, აუზის, გამწვანების ადგილების და ავტოსადგომების მოწყობა.

გდგ-ს შემუშავების წინაპირობაა წინასაპროექტო კვლევა, მათ შორის ფიზიკური გარემოს - სივრცითი, ინფრასტრუქტურის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კვლევა, ასევე უფლებრივი გარემოს, დოკუმენტური მონაცემების შესწავლა და დაინტერესებულ პირთა, აგრეთვე ხელისუფლების ორგანოების მოსაზრებებისა და ინტერესების განხილვა/შეწონვა (იხ.დანართი).

გეგმარებითი ერთეულის გდგ-ს შემუშავების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პირველ ეტაპზე „ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.12.305; ს.კ. 20.42.12.317 და ს.კ. 20.42.12.339) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 02 მარტის №ბ114.1142306118 ბრძანების საფუძველზე შემუშავდა და „ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 20.42.12.355) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 ივნისის №34 განკარგულებით დამტკიცდა გდგ-ს კონცეფცია, რომლის საფუძველზე შემუშავდა გდგ-ს პროექტი.

2. დაგეგმვის საჭიროება, ინიციატივა, მიზნები და პრინციპები

გეგმარებით ერთეულში მოქცეული მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი: 20.42.12.355) სამშენებლოდ განვითარებისათვის დაგეგმილია დადგენილი კ² მაჩვენებლის გადამეტება, რაც წარმოადგენს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს და ამასთან „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია კ1/კ2 მაჩვენებლის გადამეტების საფუძველი - გდგ, რაც იწვევს დაგეგმვის საჭიროებას და შესაბამისად კერძო ინიციატივის საფუძველზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წლის 02 მარტს გამოცემულ იქნა №ბ114.1142306118 ბრძანება „ქ. ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირზე არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე (ს.კ. 20.42.12.305; ს.კ. 20.42.12.317 და ს.კ. 20.42.12.339) განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“.

პროექტის მიხედვით გეგმარებით ერთეულზე დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება. აღნიშნულის განხორციელება საჭიროებს განაშენიანების გამჭიდროებას - განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის გაზრდას 4,5-მდე. საპროექტო ნაკვეთი ქალაქ ქობულეთის გენერალური გეგმის მიხედვით მდებარეობს საცხოვრებელ ზონაში (სზ), ხოლო განაშენიანების გეგმის მიხედვით კი საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელ ზონაში (სზ-3), სადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2 = 1,8-მდე.

განაშენიანების დეტალური გეგმის მიზანია გეგმარებითი ერთეულის სამშენებლოდ განვითარებისათვის ქალაქთგეგმარებითი ასპექტებისა და პრინციპების დაცვით, მასში მოქცეული ტერიტორიის გამოყენების დადგენილისაგან განსხვავებული პირობების განსაზღვრა (მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით), მათ შორის ქალაქმშენებლობის პარამეტრების, განაშენიანების და სხვა პირობების განსაზღვრა, მოიცავს როგორც დასაბუთებას, ეფექტიანობის შეფასებას, ასევე გრაფიკულ ნაწილს, განაშენიანების ესკიზის ჩათვლით. გდგ-ს რუკაში გეგმარებითი ერთეულის მიმართ განსაზღვრულია როგორც განაშენიანების პარამეტრები, ასევე ესთეტიკური პარამეტრები, გამწვანების და სხვა პირობები.

დაგეგმვის მიზნებია:
- განაშენიანების რეგულირება, რომელიც ხორციელდება ქალაქმშენებლობითი გეგმების მეშვეობით;
- ტერიტორიის განახლება და განვითარება;
- მიწის ნაკვეთების განვითარება, მათი გამოყენებისა და განაშენიანების კონკრეტული რეგულირება და სათანადო უზრუნველყოფა.
- სივრცის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობის მომავლისათვის შენარჩუნება;
- განვითარების გრძელვადიანი პოტენციალის შენარჩუნება და სათანადო უზრუნველყოფა;
- ტერიტორიის ფუნქციურ მდგრად ერთეულად ჩამოყალიბება.

ქალაქმშენებლობითი გეგმის - განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება ემყარება მდგრადი განვითარების პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისი ტერიტორიის გამოყენებისა და განვითარების ეკონომიკური და სოციალური წინაპირობების ჰარმონიზაციას. ეს პრინციპებია:

- სუსტად განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ერთეულების მდგრად ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბება;
- ადამიანისათვის ღირსეული საარსებო პირობების შექმნა და შენარჩუნება;
- ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური განვითარებისათვის შესაბამისი წინაპირობების შექმნა;
- მიწის რაციონალური გამოყენების პრინციპი;
- განაშენიანებული მიწის ნაკვეთების განახლება და ზომიერი ინტენსიფიკაცია;
- ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს და უსაფრთხო შრომის პირობების შექმნა და შენარჩუნება;

▪ მომსახურებისა და სატრანსპორტო/საინჟინრო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, შესაბამისი ტერიტორიული წინაპირობების შექმნით ეკონომიკური საქმიანობის წახალისება და ხელშეწყობა;
▪ ეკონომიკის დარგების განვითარების უზრუნველყოფა;
▪ მიმზიდველი და უსაფრთხო საინვესტიციო გარემოს შექმნა;
▪ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მაქსიმალურად შემცირება,

3. გეგმარებითი ერთეულის აღწერა

3.1. გეგმარებითი ერთეულის საერთო ფართობი და საზღვრები

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-5 დანართის - გეგმარებითი ერთეულები და მათი გამოყოფის წესის (სარეკომენდაციო) მე-9 პუნქტის გათვალისწინებით სულ გეგმარებითი ერთეულის ფართობი შეადგენს 11300 კვ.მ-ს. პერიმეტრი - 430 მ. გეგმარებითი ერთეული განთავსებულია ქალაქ ქობულეთში, რომლის ფართობი შეადგენს 15 კვ.კმ.

გეგმარებითი ერთეული მოიცავს 7 მიწის ნაკვეთს (მათ შორის ერთი დაურეგისტრირებელი) და მათი ფართობი შეადგენს 8833,00 კვ.მ-ს, ხოლო საპროექტო მიწის ნაკვეთების ფართობი შეადგენს 4435,00 კვ.მ-ს, კერძოდ ფართობების მიხედვით:

მიწის ნაკვეთი		
საკადასტრო კოდი		ფართობი, კვ.მ.
1	**2**	**3**
1	**20.42.12.355**	**4435,00**
2	20.42.02.223	1108,00
3	20.42.02.683	605,00
4	20.42.02.831	1058,00
5	20.42.12.010	400,00
6	20.42.12.338	1027,00
7	დაურეგისტრირებელი	200,00
ჯამი		**8833,00**


NAPR
NAPR
ბეგმარებითი ერთეული ქ. ქობულეთის ადმინისტრაციულ საზღვრებში
ბეგმარებითი ერთეული

3.2. ორთოფოტოფიქსაცია

განაშენიანების დეტალური გეგმა
საბაჯისო მონაცემები
მდ. ქობულეთისწყლის ორკილომეტრიანი ბაფრიონი
ს/კ 20.42.12.355;
გეგმარებითი ერთეული 20.42.12.355; 20.42.02.223; 20.42.02.683; 20.42.02.831; 20.42.12.010; 20.42.12.338.

ორთოფოტოფიქსაცია

ექსპლიკაცია

- გეგმარებითი ერთეული
- საკადასტრო საზღვარი
- საპროექტო ტერიტორია

გადაღების თარიღი
15.03.2023

შემსრულებელი
შპს კოლდინგ
ქერქე ინიციატივის ხაშუქვლზე

მაშტაბი
10 0 10 20 30 40

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

3.3. გეომორფოლოგია

გეომორფოლოგიურად საკვლევი უბნის რელიეფი წარმოადგენს აკუმულაციური ტიპის რელიეფს, რომელიც შექმნილია ზღვის ტრანსგრესია-რეგრესიის მოქმედების შედეგად. გეოლოგიურად საკვლევი ტერიტორია აგებულია მეოთხეული ასაკის, ზღვიური გენეზისის ქვიშოვანი და ხრეშოვანი გრუნტებით.

ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემების საფუძველზე, შედგენილია ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები და სამშენებლოდ გამოყოფილი უბნის მიმართ გრძივი გეოლოგიური ჭრილები (იხ. დანართი). როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, უბნის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ შემდეგი სახის გრუნტები:

ფენა 1 _ ნაყარი გრუნტი – ქვიშნარის, თიხნარისა და კენჭების ნარევი. სიმძლავრე 0.80-1.50 მ-ის ფარგლებშია. გავრცელებულია მთელ სამშენებლო ტერიტორიაზე.

ფენა 2 _ ქვიშა, საშუალომარცვლოვანი ფრაქციის, საშუალო სიმკვრივის, ხრეშის შემავსებლით 25%-მდე (ქვიშა ხრეშიანი). სიმძლავრე 2.40-2.50 მ-ის ფარგლებშია. გავრცელებულია მთელ სამშენებლო ტერიტორიაზე. გრუნტი ხასიათდება მაღალი მზიდუნარიანობით.

ფენა 3 _ ხრეში, კენჭების ჩანართებით 10%-მდე, სხვადასხვამარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით 30%-მდე. სიმძლავრე 6.0-7.70 მ-ის ფარგლებშია. გავრცელებულია მთელ სამშენებლო ტერიტორიაზე. გრუნტი ხასიათდება მაღალი მზიდუნარიანობით.

ფენა 4 _ ქვიშა, წვრილმარცვლოვანი ფრაქციის, საშუალო სიმკვრივის, მუქი ნაცრისფერი, ზოგჯერ 3 სმ-მდე სისქის თიხისა და მტვეროვანი ქვიშის თხელი შუაშრეებით. სიმძლავრე 4.0-5.0 მ-ის ფარგლებშია (დაძიებული). გავრცელებულია მთელ სამშენებლო ტერიტორიაზე. გრუნტი ხასიათდება მაღალი მზიდუნარიანობით.

გრუნტის წყალი გამოვლინდა ჭაბურღილებში 5.0-5.30 მ-ის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან, ხრეშის ფენაში. საველე სამუშაოების პერიოდში მისი დონე არ შეცვლილა და დამყარდა იმავე სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. ფონდური მასალების მიხედვით გრუნტის წყლები არააგრესიულია ნებისმიერი მარკის ბეტონის მიმართ. სუსტად აგრესიულია არმატურის მიმართ მისი წყალში ეპიზოდურად ყოფნის დროს.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, გამოკვლეული უბანი, სნ და წ 1.02.07-87 მე-10 დანართის (სავალდებულო) თანახმად მიეკუთვნება I კატეგორიას (მარტივი).

ტერიტორია მდგრადია და არ შედის სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების ზონაში.



აჭარის რეგიონი
სტიქიური გეოლოგიური პროცესების საშიშროების ზონაში მოქცეული დასახლებული პუნქტები
მასშტაბი: 1:250 000

პირობითი ნიშნები

- შუახევის მუნიციპალიტეტი
- ქედის მუნიციპალიტეტი
- ქობულეთის მუნიციპალიტეტი
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
- ხულოს მუნიციპალიტეტი

- სახელმწიფო საზღვარი
- საავტომობილო გზა
- რკინიგზა
- ნავთობსადენი
- მდინარეები
- ტბები და წყალსაცავები

- მეწყერი
- ღვარცოფი
- ეროზია
- ზღვისა და წყალსატევების ნაპირების გარეცხვა
- სტიქიური პროცესებით განსაკუთრებით დაძაბული უბნები

- დასახლებული პუნქტები. (ფერი წრეში ალნიშნავს მის ფარგლებში განვითარებულ ს.გ.პ. წითელი შრიფტით გამოყოფილია პუნქტები, სადაც 2014 წელს მოსალოდნელია ს.გ.პ გააქტიურება)
- 2013 წელს გააქტიურებული ან ახლადწარმოქმნილი პროცესი

moe.gov.ge

3.4. სეისმოლოგია



სეისმიური საშიშროების რუკა
მაქსიმალურ ჰორიზონტალურ აჩქარებასა და ბალებში



სეისმური საშიშროების რუკის დანართის ამონარიდი

	დასახლებული პუნქტი	მხარე	მუნიციპალიტეტი	საკრებულო	A-სეისმურობის განზომილებო კოეფიციენტი	ბალი (MSK64 სკალა)
573	ქ. ქობულეთი	აჭარა	ქობულეთის	ქ. ქობულეთი	0.13	8

შენობაზე სეისმური ზემოქმედების საანგარიშო ინტენსიურობა, ბალი	საანგარიშო მნიშვნელობა
7	0,80
8	0,65
9	0,50
10	0,35

3.5. კლიმატი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 25 აგვისტოს 1–1/1743 ბრძანებით დამტკიცებული „სამშენებლო კლიმატოლოგია(პნ 01.05-08)“-ს მიხედვით:
ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა: -9;
ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა: +41;
ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა: +14.5;
ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში): 81%
ნალექების რაოდენობა წელიწადში: 2352 მმ;
ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში: 231 მმ;
ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში: 840 მმ;
თოვლის საფარის წონა: 0.5 კპა;
თოვლის საფარის დღეთა რიცხვი: 7.

სამშენებლო-კლიმატური რაიონების მახასიათებლები

(ამონარიდი) ცხრილი 2

კლიმატური რაიონები	კლიმატური ქვერაიონები	იანვრის საშუალო ტემპერატურა, $0C$	ზამთრის 3 თვის ქარის საშუალო სიჩქარე, მ/წ	ივლისის საშუალო ტემპერატურა, $0C$	ივლისის ფარდობითი ტენიანობა, %
1	2	3	4	5	6
III	IIIბ	+2-დან +6-მდე	-	+22-დან +28-მდე	50 და მეტი 13ს

სამშენებლო-კლიმატური დარაიონება

(ამონარიდი) ცხრილი 3

N	პუნქტების დასახელება	კლიმატური რაიონები და ქვერაიონები
1	2	3
144	ქობულეთი	IIIბ

მზის ამოსვლის (a) და ჩასვლის (C) საშუალო მზიური დრო თვის 15 რიცხვისათვის (საათი, წუთი)

(ამონარიდი) ცხრილი 9

განედი, გრადუსი	ორიენტაცია მხარეების მიხედვით	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
41	ა	7.22	6.54	6.12	5.22	4.43	4.27	4.40	5.09	5.39	6.11	6.48	7.17
	ჩ	16.56	17.34	18.06	18.38	19.09	19.33	19.32	19.01	18.11	17.21	16.40	16.32

საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონება

რუკა - სქემა № 1



ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

(ამონარიდი) ცხრილი 13

N	პუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %													საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენია-ნობის საშ. დღეღამური ამპლიტუდა	
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
144	ქობულეთი	80	80	79	80	82	80	80	82	84	84	82	80	81	69	71	16	21

ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა

(ამონარიდი) ცხრილი 12

N	პუნქტების დასახელება	თვის საშუალო, 0 C												თვის მაქსიმალური, 0 C									
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მარტი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მარტი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
144	ქობულეთი	8,3	9,0	8,7	9,0	8,6	8,5	7,5	8,0	9,0	10,2	9,8	9,5	17,0	17,8	17,5	17,8	17,0	16,7	19,0	16,6	17,7	21,1	20,0	19,5

ნალექების რაოდენობა

(ამონარიდი) ცხრილი 15

N	პუნქტების დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღეღამური მაქსიმუმი, მმ
1	2	3	4
144	ქობულეთი	2352	240

თოვლის საფარი

(ამონარიდი) ცხრილი 17

N	პუნქტების დასახელება	თოვლის საფარის წონა, კპა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
1	2	3	4	5
144	ქობულეთი	0,50	7	-

ქარის მახასიათებლები

(ამონარიდი) ცხრილი 19

N	პუნქტების დასახელება	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ					ქარის მიმართულების განმეორებადობა (%)იანვარი, ივლისი								ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ		ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში								
		1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
144	ქობულეთი	18	22	24	25	26	2/3	36/8	15/11	8/10	7/9	23/40	5/17	4/2	4,4/1,5	5,1/1,7	2	23	13	8	7	30	11	6	20

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე, სმ

(ამონარიდი) ცხრილი 20

N	პუნქტების დასახელება	თიხოვანი და თიხნარი	წვრილი და მტვრისებრი ქვიშის ქვიშნარი	მსხვილი და საშ. სიმსხ-ვილის ხრეშისებური ქვიშის	მსხვილნატეხი
1	2	3	4	5	6
144	ქობულეთი	0	0	0	0

3.6. ეკოლოგიური მდგომარეობა

გეგმარებითი ერთეულზე არ არის განთავსებული, ჰაერის, წყლის და ნიადაგის დამაბინძურებელი ობიექტები და შესაბამისად გეგმარებითი ერთეული არ ახდენს უარყოფით გავლენას გარემოს საერთო მდგომარეობაზე. გეგმარებითი ერთეულის მომიჯნავე ქუჩები მოპირკეთებულია ბუნებრივი ქვით, გრუნტის წყლები ჩაედინება როგორც გამწვანების, ასევე სანიაღვრე არხებში, გეგმარებით ერთეულზე არ ხდება ბუნებრივი რესურსების გამოყენება. დაცულია აკუსტიკური რეჟიმი, რადგან ტერიტორიაზე არ არის განთავსებული ხმაურით დამაბინძურებელი ობიექტები.

ზოგადი კლიმატური პირობები

ქ. ქობულეთი წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს და იგი მდებარეობს ქ. ბათუმიდან 25 კმ-ის დაშორებით, კოლხეთის დაბლობის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ განშტოებაზე - ქობულეთის დაბლობზე. იგი გაშენებულია აკუმულაციურ ალუვიურ ვაკეზე, ზღვის დონიდან 3-5 მეტრის სიმაღლეზე. ქ. ქობულეთი მდებარეობს ქვეზონაში, რომელიც გამოირჩევა მაღალი სინოტივითა და ზღვის ქარებით მთელი წლის განმავლობაში, უხვი წვიმებით შემოდგომასა და ზამთარში; შესაბამისად ხასიათდება ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავით. ნალექების წლიური რაოდენობა მაღალია -2352 მმ, მაგრამ იმის გამო, რომ უფრო ხშირად მათ აქვთ ხანმოკლე ხასიათი (ე.წ. „ტროპიკული თავსხმა“) და ტერიტორიის გეოლოგიური თავისებურების გამო (ის ძირითადად წარმოადგენს წყალგამტარ სუბსტრატს), წვიმები ნაკლებ გავლენას ახდენს ჰაერის სინოტივის ცვალებადობაზე. ზოგადად, ქობულეთისთვის დამახასიათებელია მაღალი სინოტივე, რომელიც თავის მაქსიმუმს აღწევს გაზაფხულზე (75%), ხოლო ზამთარში - 70%. მაგრამ, ბათუმთან შედარებით, კონტინენტის უშუალო გავლენის გამო, ქობულეთამდე აღწევს მშრალი ფენები.

ქობულეთი ხასიათდება მაღალი რადიაციული დასხივებით. დილის პირდაპირი რადიაციის დონე აღწევს 0,35 მ. კალ., საღამოსი - 0,60-0,80 მ. კალ. განსაკუთრებით მაღალია ულტრაიისფერი რადიაცია, რასაც ფაქტორების მთელი რიგი ადასტურებს - სწრაფი გარუჯვა, მზის სამკურნალო მოქმედება და ა.შ. მზის ნათების ხანგრძლივობის წლიური ჯამი ქობულეთში შეადგენს 2 100 საათს, რითაც ის გამოირჩევა აჭარის კურორტებს შორის. დასავლეთიდან მიმდებარე გაშლილი ხმელეთი არ აბრკოლებს აღმოსავლეთის (დილის) მზის მოქმედებას ქობულეთის ტერიტორიაზე და თავისუფლად ატარებს ნოტიო ჰაერის მასებს ხმელეთის სიღრმეში და არ ახდენს მათ კონდენსაციას, როგორც ეს, მაგალითად, ბათუმში ხდება. ზღვის ბრიზის გაძლიერება შეიმჩნევა შუადღეს. საერთოდ, ზღვის ბრიზის მოქმედება შეიმჩნევა თითქმის მთელი დღეღამის განმავლობაში. ამასთან, ალიონზე ხშირია შტილი, ან თითქმის შეუმჩნეველი ნიავით მატერიკის მხრიდან, რაც აგრეთვე აძნელებს ზაფხულის სიცხეს.

ზოგადი გეოლოგიური პირობები

ქ. ქობულეთის ტერიტორია მიეკუთვნება საქართველოს ბელტის დასავლეთის დაძირვის ოლქს. ტერიტორია ძირითადად აგებულია თანამედროვე (Q4) - ახალშავზღვიური, ძველშავზღვიური (ჰოლოცენი) და ზედა მეოთხეული Q3 – ახალ ევქსინური პლიაჟური და დელტური ფხვიერი მეოთხეული დანალექებით. აღნიშნულ რეგიონში ნალექების დაგროვება დაკავშირებულ იყო ტრანსგრესიებსა და

რეგრესიებზე. დაახლოებით 30 მ-დან 100 მ-დე ნალექების დაგროვება უკავშირდება ახალევქსინურ რეგრესიას, ხოლო უფრო ახალგაზრდა (15მ-დან-30მ-დე) ნალექების დაგროვება დაკავშირებულია პონტურ და კოლხურ რეგრესიებთან, რაც შეეხება სულ ზედა ფენას 15 მ სიღრმემდე ნალექების დაგროვება დაკავშირებულია ლაზურ ტრანსგრესიასთან.

ქობულეთის ვაკე-დაბლობი სამხრეთიდან ისაზღვრება ციხისძირის ვულკანოგენური ქანებით აგებული ჭიუხით, ხოლო ჩრდილოეთიდან მდ. ნატანებით და წარმოადგენს უახლოეს ეპოქაში გაღუნულ ბლოკს, რომელიც ამჟამად განიცდის დაძირვას 2 მმ-მდე წელიწადში. თავის მხრივ კოლხეთის დაბლობის არეალში მორფოლოგიურად გამოიყოფა ლაგუნა-ჭაობის ზონა, ვიწრო შელფი და ძველი სანაპირო ზვინული, რომელიც წარმოადგენს ფანაგორიის (ეგრისული ფაზა) რეგრესიის რელიქტს და გრძელდება ნაპირის გასწვრივ 10კმ-ზე.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, ქალაქ ქობულეთის ტერიტორია განთავსებულია კოლხეთის დაბლობის დასავლეთ დაბოლოებაზე, აკუმულატიურ ზღვისპირა დაბლობებზე, ზედაპირი სწორია, თითქმის ბრტყელი, ზღვისკენ ოდნავ დახრილი. ნაწილობრივ დაჭაობებული ზედაპირზე ტორფის და ნესტის მოყვარული მცენარეებია გავრცელებული. ქალაქის ტერიტორიის ფარგლებში გრუნტის წყლების გამოსავლები ჭაბურღილებში დაფიქსირებულია 0.8-1.5 მ-დე, ხოლო წყლების დამყარებული დონე ცვალებადობს 0.5-დან 1.2 მ-მდე.

ნაპირდაცვა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზღვისპირეთში ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ და ფართო მასშტაბიანმა ტექნოგენურმა დატვირთვამ უარყოფითი გავლენა იქონია ზღვის სანაპირო ზონაში მიმდინარე მორფოდინამიკურ პროცესებზე, რომელიც ნაპირების წარეცხვაში და მასზე აშენებული ობიექტების ნგრევაში გამოიხატა. ტექნოგენური და ანთროპოგენური დატვირთვა ყველაზე მეტად შეეხო ზღვის სანაპირო ზონის ყველაზე აქტიურ ზოლს - პლაჟს. პლაჟი ბუნებრივი ნაპირდამცავი მექანიზმია, რომელიც იცავს სანაპიროზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებს ნგრევისა და წარეცხვისაგან. აქედან გამომდინარე, ქ. ქობულეთის ურბან-მენეჯმენტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას ზღვის ნაპირის წარეცხვისაგან დაცვა წარმოადგენს. აშკარაა ამ პროცესის შედეგად წარმოქმნილი პრობლემის აქტუალობა და მისი დეტალური ანალიზის აუცილებლობა.

ქ. ქობულეთის სანაპირო ზოლი (დაახლოებით 11 კმ.) ერთ-ერთი ავარიული უბანია აჭარის ფარგლებში. განსაკუთრებული ავარიულობით გამოირჩევა ქალაქის სამხრეთი ნაწილის 4 კმ-ანი მონაკვეთი, სადაც ყოველი ძლიერი შტორმი იწვევს პლაჟების წარეცხვას, საყრდენი კედლის და ზღვისპირა ბულვარის საფარის დაზიანებას, მიმდებარე ტერიტორიების დასილვას. ძველი ნაპირგასწვრივი ზვინული აგებულია მდ. ჭოროხის მასალით - მასზე გაშენებულია ქ. ქობულეთი. მის წინ არსებული პლაჟები, ნატანის დეფიციტის გაჩენამდე შავი ზღვის სანაპიროზე, გამოირჩეოდა დიდი სიმაღლითა და სიგანით. გაბატონებული სამხრეთ-დასავლეთის და დასავლეთის ტალღების მიმართულება სანაპირო ხაზის ექსპოზიციის მიმართ განაპირობებს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, მდ. ნატანების შესართავამდე, არსებული ნატანის ნაპირგასწვრივ ნაკადს; მისი ხარჯი შეადგენს დაახლოებით 20 ათას მ³/წელიწადში. იშვიათი, ჩრდილო-დასავლეთი მიმართულების ღელვები გადააადგილებს მდ. ნატანების ქვიშას შესართავიდან სამხრეთისაკენ და მისი გავლენის არეალი შემოიფარგლება დაახლოებით 1კმ-ით, ქ. ქობულეთის ჩრდილოეთით. ამგვარად, ქობულეთის სანაპირო ზონას პლაჟშემქმნელი ნატანი მიეწოდება მდინარეებიდან - დეხვა, კინტრიში და აჭყვა.

მისი ჯამური წლიური მოცულობა შეადგენს დაახლოებით 10-11 ათას მ³-ს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსხვილი მასალის დანაკარგი ცვეთაზე ყოველ ერთ გრძივ კილომეტრზე შეადგენს დაახლოებით 1 ათას მ³-ს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქ. ქობულეთის 10 კმ-იან სანაპირო ზონაში სამხრეთიდან ტალღებით გამოტანილი ნატანის მოცულობა საკმარისია მხოლოდ ცვეთაზე დანაკარგების საკომპენსაციოდ.

დაცული ტერიტორიები

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორიები (პირდაპირი მანძილი საპროექტო ტერიტორიიდან დაცულ ტერიტორიებამდე 780 მეტრს შეადგენს) ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და აღკვეთილია, რომლებიც კოლხეთის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში შედიან და მოიცავენ ქობულეთის ზღვისპირა ვაკის ჩრდილოეთ ნაწილს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იუნესკომ კოლხურ ტყეებსა და ჭარბტენიან ტერიტორიებს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა, რომელთა შემადგენლობაში ქობულეთის დაცული ტერიტორიებიც შედის.

ქობულეთის ჭარბტენიანი ტერიტორია ფართობრივი შეზღუდულობის მიუხედავად (603.47 ჰა) მნიშვნელოვანი ღირებულების ლანდშაფტური მემკვიდრეობის ობიექტს წარმოადგენს. იგი, უპირველეს ყოვლისა, ბოტანიკური თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას. მისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი, პირველადი, ან თითქმის პირველადი სახით დღემდე შემორჩენილ, ფლორისტული თვალსაზრისით მეტად საინტერესო სფაგნუმიან-ბალახოვან ჭაობს – ,,ისპანი“-2-ს უკავია. ეს ჭაობი გამოირჩევა ტორფის ბალიშების განვითარებით, რომლებიც სფაგნუმის ხავსებითა და მათზე არსებული ბალახეული მცენარეთა სინუზიებითაა შექმნილი. ,,ისპანი“-2 ჭაობს გარკვეულად თვითმყოფადობას ანიჭებს მის მცენარეულ საფარში, ერთი მხრივ, ბორეალური (ტუნდრის და ტაიგის) ფლორის ელემენტების (Sphagnum imbricatum, S. palustre, S. auriculatum; Drosera rotundifolia, Rhynhospora alba, Carex lasiocarpa და სხვ.), ხოლო, მეორე მხრივ, კოლხური ფლორის ისეთი ელემენტები, როგორიცაა: Rhododendron ponticum, R. luteu.

,,ისპანი“-2 ჭაობის მცენარეული საფარის ბუნებრივ მდგომარეობაში დღემდე შემორჩენის მიზეზის არსი მის მიუდგომლობაშია. ამ ჭაობში ტორფის ერთიანი ჰორიზონტის სისქე 5-9 მ საზღვრებში ცვალებადობს. აღნიშნულის გამო, ეს ჭაობი გაუვალია და მას ადგილობრივი მოსახლეობა საძოვრად და სათიბად ვერ იყენებს. ,,ისპანი“-2 ჭაობთან უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიები საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენება არა მარტო საძოვრებად და სათიბებად, არამედ სახნავ-სათესად. ,,ისპანი“-2 ჭაობი გადაურჩა ტორფის კარიერად გამოყენებას. ტორფის მოპოვებას და დაშრობის მიზნით ჩატარებულ სამელიორაციო სამუშაოებს ადგილი ჰქონდა ,,ისპანი“-1 და ,,ისპანი“-3 ჭაობების ტერიტორიებზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ლანდშაფტის დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და აღკვეთილის ტერიტორია ორ ნაწილად იყოფა. მისი ჩრდილოეთი ნაწილი ,,ისპანი“-2 ჭაობს უკავია. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს ,,ისპანი“-1 ჭაობი. აღნიშნული ჭაობების პერიფერიებზე, აგრეთვე მდ. ტოგონისა და შავი ღელის გასწვრივ ალაგ-ალაგ აღინიშნება მეორადი ტყე-ბუჩქნარების ვიწრო ზოლი. ,,ისპანი“-1 ჭაობი, სამელიორაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად, ძლიერ დეგრადირებულია. იგი დასერილია წყალსაწრეტი და წყალსადინარი არხებით. ჭაობის ძველი ზედაპირი ალაგ-ალაგ დაკორდებულია და ადგილობრივი მოსახლეობა მას სათიბ-საძოვრად იყენებს. ურბანიზებული ზოლის უშუალო სიახლოვე ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიასთან საშიშროებას უქმნის ამ უკანასკნელის პირველად და ასევე, სხვადასხვა ხარისხით სახეშეცვლილ ეკოსისტემებს.

ფლორა და დენდროლოგიური მონაცემები (საჯარო სივრცეში)

ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და აღკვეთილის ტერიტორია, უპირველეს ყოვლისა, ფლორისტული შედგენილობის თავისებურებით, განსაკუთრებულობით და სათუთობით იქცევს ყურადღებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკმაოდ ურბანიზებული ზოლის უშუალო სიახლოვის მიუხედავად (ტერიტორიის სამხრეთი კიდიდან ქობულეთის საკურორტო ზონამდე მანძილი 3 კმ-ს არ აღემატება), ხოლო მისი აღმოსავლეთი კიდე უშუალოდ ეკვრის სოფლებს ოჩხამური, ცეცხლაური, მუხაესტატეს მაცხოვრებელთა კარმიდამოებს და სავარგულებს. ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე ჭაობის მცენარეული საფარი თითქმის ხელუხლებლად არის შემონახული. ამის ძირითადი მიზეზი არის ჭაობში ტორფის ერთიანი ჰორიზონტის დიდი სისქე (5 –9 მ), რაც ჭაობის ზედაპირს გაუვალს ხდის და მოსახლეობა მას საძოვრად ვერ იყენებს. ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიაზე პირველადი სახით შემორჩენილია ბალახოვან-სფაგნუმიანი ჭაობი, რომელშიც საკმაოდ არის გავრცელებული იმერული ისლი (MOLINIA LITORALIS). ჭაობის ზედაპირის ზოგიერთ მცირე უბანზე დომინანტია ისლის რომელიმე სხვა სახეობა (Carex lasiocarpa; Carex riparia და სხვ.). ისლიანები და სხვა ბალახეულთა სინუზიები განვითარებულია სფაგნუმის ხავსებით შექმნილ ერთიან საფარზე. სფაგნუმიან საფარს კი ქობულეთის ჭაობში ძირითადად ქმნის Sphagnum papillosum, Sphagnum imbricatum და Sphagnum palustre-ს სახეობები. ბალახოვანი სინუზიებში იშვიათია მრგვალფოთლა დროზერა (DROSERA ROTUNDIFOLIA), სამეფო გვიმრა (OSMUNDA REGALIS) და სხვ. ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიაზე შემონახულ ტორფიან ჭაობს თვითმყოფადობას ანიჭებს იელის (Rhododendron luteum) და შქერის (Rhododendron ponticum) არსებობა მის მცენარეულ საფარში, აგრეთვე ჭაობის საერთო ზედაპირიდან უმნიშვნელოდ ამაღლებული ტორფის ბალიშები (გუმბათები), რომლებიც სფაგნუმის ხავსებით არიან შექმნილი. ჭაობის პერიფერიულ ზოლში ყურადღებას იპყრობს ხეჭრელი (FRANGULA ALNUS).

მდინარეების ტოგონის და შავი ღელის გასწვრივ რომლებიც ,,ისპანი”-2-ის ჭაობის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეს გაედინებიან, 4-5 ათეული წლის წინ დაჭაობებული მურყნარის კარგად შემონახული მასივები იყო 200-600 მ-ის სიგანის ზოლებად განვითარებული. ამჟამად მათ ადგილზე ძლიერ დეგრადირებული, მეტწილად ბუჩქოვანი ფრაგმენტებია შემორჩენილი, რომლებიც შეიცავენ მურყანის (ALNUS BARBATA), ლაფანის (PTEROCARYA PTEROCARYA), იმერული მუხის (QUERCUS IMERETINA), ნეკერჩხლის (ACER CAMPECTRE), ჭყორის (llex colchica), იმერული ხეჭრელის (FRANGULA ALNUS) დაბუჩქულ ეგზემპლარებს ისინი გადაბარდულია მაყვლით, ეკალღიჭით (Smilax excelsa), ღვედკეცით (PERIPLOCA GRAECA), VITIS SYLVESTRIS, სუროთი (HEDERA COLCHICA) და სხვა ლიანებით.

გეგმარებით ერთეულზე ძირითადად კულტურული მცენარეებია წარმოდგენილი, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას აქვს გაშენებული. ხოლო ქუჩებზე ძირითადად მრავალწლოვან ხეებს ვხვდებით. პროექტის განხორციელებამდე, საჭიროების შემთხვევაში უნდა შეფასდეს მოჭრას ან გადარგვას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების რაოდენობა და მათი სახეობა, რაც შეთანხმდება შესაბამის უწყებებთან.

ფაუნა

ქობულეთის ჭაობები საკმაოდ მდიდარია ფაუნით. აქ მსხვილი ძუძუმწოვრებიდან ბინადრობს: წავი (Lutra lutra), ტურა (Canis aureus), ტყის კატა (Felis silvestris), ნუტრია (Myocastor coypus), მაჩვი (Meles meles). ზამთრობით შეიძლება შეგვხვდეს მგელი (Vulpes vulpes) და შველი (Capreolus capreolus). წვრილი ძუძუმწოვრებიდან: აღმოსავლეთ ევროპული ზღარბი (Erinaceus concolor), კავკასიური თხუნელა (Talpa caucasica), რუხი ვირთაგვა (Rattus norvegicus), აქ შესაძლოა აგრეთვე შემდეგი სახეობების არსებობა: ვოლნუხინის ბიგა (Sorex volnuchini), გრძელკუდა კბილთეთრა (Crocidura russula), წვეტყურა მღამიობი (Myotis blythii), ჯუჯა ღამურა (Pipistrellus pipistrellus), წყლის მემინდვრია (Arvicola terestris), კავკასიური ტყის თაგვი (Silvimu silvaticuss), სახლის თაგვი (Mus musculus), შავი ვირთაგვა (Rattus rattus).

სახელმწიფო ნაკრძალი, აღკვეთილი და მიმდებარე ტერიტორიები მნიშვნელოვანია როგორც დასასვენებელი ადგილები გადამფრენი წყლისა და ჭაობის ფრინველებისათვის. აქ შეიძლება შევხვდეთ ყველა იმ ფრინველს, რომელიც გვხვდება კოლხეთის დაბლობზე. მათ შორის: Anas strepera, Anser anser, Melanitta fusca, Scolopax rusticola და Netta rufina, ასევე მობუდარი – Aquila pomarina, Accipiter nisus, Ardea cinerea, Circus aeruginosus, Egretta garzetta, Gallinago gallinago, Lymnocryptes minimus. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ აქ დიდი რაოდენობით გვხვდება მოზამთრე (Circus cyaneus) და გადამფრენი (C. pygargus და C. macrourus) სახეობები ძელქორებისა.

ქვეწარმავლების სახეობრივი რაოდენობა აქ მცირეა და შემოიფარგლება ჭაობის კუთი (Emys orbicularis), მარდი (Lacerta agilis) და საშუალო ხვლიკებით (Lacerta media), წყლისა (Natrix tesselata) და ჩვეულებრივი ანკარათი (Natrix natrix) და ესკულაპის მცურავით (Elaphe longisima). ამფიბიებიდან აქ გვხვდება ჩვეულებრივი (Triturus vulgaris) და სავარცხლიანი ტრიტონი (Triturus cristatus), ტბის ბაყაყი (Rana ridibunda), ჩვეულებრივი ვასაკა (Hyla arborea), მწვანე (Bufo viridis) და კავკასიური გომბეშო (Bufo verucozissima). ტერიტორია მდიდარია უხერხემლოებით, რომლებიც სადღეისოდ არ არის სათანადოდ შესწავლილი. მდინარეებში აღინიშნება თევზების შემდეგი სახეობები: Silurus glanis, Leuciscus cephalus, Cyprinus carpio, Castanea sativa.
ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული უბანი ქობულეთი GE0000060
ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული უბანი „ქობულეთი“-ს მახასიათებლები სტანდარტული ფორმის მიხედვით შემდეგია:
სარეგისტრაციო კოდი - GE0000060; ფართობი - 782.7156 ჰა; გრძედი - 732767.000000; განედი - 4637778.000000; ბიოგეოგრაფიული რეგიონი - შავი ზღვის (100%).
ზურმუხტის ქსელის მიღებული უბანის ნომინირების საფუძველია 1 ტიპის ჰაბიტატი, კერძოდ: D1.2 ჭაობის ზედაპირი
ნომინირების საფუძველია 20 სახეობა ფრინველი, 1 სახეობა ძუძუმწოვარი და 1 სახეობა რეპტილია.

ატმოსფერულ ჰაერი და ხმაურის გავრცელება

ქალაქ ქობულეთში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიებისა და ხმაურის გავრცელების ერთერთ მთავარ წყაროს ავტოტრანსპორტი წარმოადგენს. საპროექტო ტერიტორია ახლოს მდებარეობს ქალაქ ქობულეთის ერთერთ ყველაზე დატვირთულ ქუჩასთან (აღმაშენებლის გამზ.), სადაც ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობა საკმაოდ მაღალია. გარდა ავტოტრანსპორტისა ქალაქ ქობულეთში ფუნქციონირებს სხვადასხვა პროფილის ობიექტები, რომელთა საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში იფრქვევა მავნე ნივთიერებები, ასეთი ობიექტებია: საწვავის შენახვა და რეალიზაციის ობიექტები; ავტომობილების ტექ. მომსახურების და რემონტის ობიექტები; სამშენებლო მასალების წარმოება (ბეტონის ან/და ბეტონის ნაკეთობების წარმოება) ობიექტები; კვების პროდუქტების წარმოების ობიექტები; სამშენებლო მასალების წარმოების ობიექტები; ხის დამუშავება და ქაღალდის წარმოების ობიექტები.

აღნიშნული ობიექტების ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა ისეთი მავნე ნივთიერებები როგორებიცაა: მყარი ნივთიერებები, მტვერი (შეწონილი ნაწილაკები), ჭვარტლი, აბრაზიული მტვერი, რკინის ოქსიდები, ცემენტის მტვერი, შედუღების აეროზოლი, გოგირდის ორჟანგი, გოგირდწყალბადი, აზოტის ჟანგეულები, ნახშირჟანგი, ნახშირწყალბადები, ბენზოლი, მეთანი, ნაჯერი ნახშირწყალბადები (C6-C10), ნაჯერი ნახშირწყალბადები (C1-C5), ნაჯერი ნახშირწყალბადები (C12-C19), აქროლადი ორგანული ნაერთები, ტყვია, სპილენძი, ნიკელი, ნახშიროროჟანგი და სხვა.
ქალაქ ქობულეთში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გამზომი ავტომატური სადგური არ არსებობს, ამიტომ ძნელია არსებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხი დღეის მდგომარეობით შეფასდეს. თუმცა წარსულში ჩატარებული კვლევების მიხედვით, ქალაქ ქობულეთის ატმოსფერული ჰაერის ხარისხი დამაკმაყოფილებელია.
უშუალოდ საპროექტო ტერიტორიასთან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მასშტაბური ობიექტი არაა წარმოდგენილი.

ნიადაგი და გრუნტი

საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მცირე ტერიტორიაზეა წარმოდგენილი, ძირითადად იქ სადაც ადგილობრივ მცხოვრებლებს მცირე ბაღ-ბოსტნები აქვთ მოწყობილი. საპროექტო ტერიტორიის ძირითადი ნაწილი კერძო საცხოვრისებს უკავია, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება.
გეგმარებითი ერთეული წარმოადგენს ინფრასტრუქტურითა და ანთროპონეგური ზემოქმედებით დატვირთულ უბნებს, სადაც ნიადაგის/გრუნტის ნაყოფიერი ფენა სუსტადაა განვითარებული, რაც ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების შედეგად გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედების რისკებს მინიმუმამდე ამცირებს.

ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები

საპროექტო ტერიტორიიდან შავ ზღვამდე პირდაპირი მანძილი 195 მეტრს შეადგენს. საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით გრუნტის წყლები გახსნილია 5.0-5.5მ სიღრმეზე. საპროექტო ტერიტორიასთან მოწყობილია შესაბამისი სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელები, რომელზეც დაერთებულია გეგმარებითი ერთეულის სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელები. შესაბამისად ფუნქციონირების ეტაპზე ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

აკუსტიკური რეჟიმი

გეგმარებით ერთეულზე დაცულია აკუსტიკური რეჟიმი, მასზე არ არის განთავსებული ხმაურის გამომწვევი ობიექტები. ქალაქ ქობულეთში გარემოს ხმაურით დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი წყარო ავტოტრანსპორტია, რომლის გადაადგილებით გამოწვეული ხმაური საქართველოს ყველა დიდ ქალაქში აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს, მათ შორის ქობულეთშიც. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ გეგმარებითი ტერიტორია მდებარეობს სატრანსპორტო ნაკადებით დატვირთულ ზონის მიმდებარედ.

ნარჩენების მართვა

ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე ნარჩენების წარმოქმნის არაერთი წყაროა წარმოდგენილი (მოსახლეობა, სხვადასხვა სახის საწარმოები, ბაზრობები, ავტოტექნიკური მომსახურების ობიექტები, კვების ობიექტები, სამედიცინო დაწესებულებები, სამშენებლო სამუშაოები და სხვა). ხშირ შემთხვევაში წარმოქმნილი ნარჩენები სახიფათო ნარჩენების კატეგორიას განეკუთვნება.ქალაქ ქობულეთში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას და ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებას შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს. დასახლებულ პუნქტში განთავსებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერები, რომელთაც გარკვეული პერიოდულობით ემსახურებიან. აღსანიშნავია, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურში ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის მშენებლობა დასრულების სტადიაშია, სადაც როგორც ქალაქ ქობულეთში, ასევე აჭარის დანარჩენ ხუთ მუნიციპალიტეტში შეგროვებული ნარჩენები განთავსდება.
დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისას ყველაზე დიდი რაოდენობით სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნაა მოსალოდნელი, ასევე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, სხვადასხვა კატეგორიის შესაფუთი მასალების და შესაძლოა მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ასევე გასათვალისწინებელია, რომ საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ წარმოდგენილია ადგილობრივი მოსახლეობა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებისას წარმოქმნილი ყველა სახის ნარჩენის მართვა უნდა განხორციელდეს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენება

გეგმარებით ერთეულზე და მის მიმდებარედ არ ხორციელდება ბუნებრივი რესურსების მართვა და მათი გამოყენება.

4. მიწათდაფარულობა

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-6 დანართის (მონაცემთა სარეკომენდაციო მატრიცა) 1.9. პუნქტის მიხედვით სამიზნე ტერიტორია, შეესაბამება ურბანიზებულ, კერძოდ დასახლებულ ტერიტორიას.



5. ქალაქგანვითარების მდგომარეობა/ურბანული ინტეგრაცია, განაშენიანების და გამოყენების სახეობების სტრუქტურა

გეგმარებით ერთეული მდებარეობს ქალაქ ქობულეთის ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთით. მასზე, ისვე როგორც წარსულში, ძირითადად განთავსებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. წარსულში საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული იყო საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები, რომლებიც ამორტიზირებულობისა და უფუნქციობის გამო დემონტირებულ იქნა, შემორჩენილია მხოლოდ მცირე ზომის ამორტიზირებული დამხმარე შენობები. მატერიალური გარემო არ გამოირჩევა ღირებული არქიტექტურით. მიდებარე ტერიტორიების ათვისება დაიწყო 2016 წლიდან, გამოთავისუფლდა უსახური, ფუნქციადაკარგული შენობა-ნაგებობებისაგან, შენდება საცხოვრებელი კომპლექსები.
დღეისათვის ტერიტორია განაშენიანების ჩამოყალიბებული კვარტალური სტრუქტურისაა, ქუჩების ქსელი ეყრდნობა ადგილობრივი საქალაქო მნიშვნელობის ქსელს და ატარებენ კვარტალურ ხასიათს, რომლის გეგმარებითი სტრუქტურა ოთხკუთხა ფორმისაა, კაპიტალური ფონდი განიცდის განახლებას. ტერიტორია სწორი მარტივი რელიეფისაა. საინჟინრო ინფრასტრუქტურა რეკონსტრუირებულია და განახლებულია ბოლო წლებში. გეგმარებითი ერთეული ინტეგრირებულია ქალაქის ურბანულ ქსოვილში, როგორც ფუნქციური და ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, ასევე ქუჩათა ქსელით.
აღნიშნული განაშენიანებისათვის გამოყენების სახეობა არის საცხოვრებელი.განაშენიანების სახეობა არის ღია.





6. ბუნებრივი და კულტურული ფასეულობები

გეგმარებითი ერთეული არ მდებარეობს ბუნებრივი მემკვიდრეობის, მათ შორის, მოქმედი და გეგმარებითი დაცული ტერიტორიების არეალში ან/და მათ სიახლოვეს (300 მ. რადიუსში. იხ რუქა). სამიზნე ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ზონებში, ასევე არ მდებარეობს არქეოლოგიური დაცვის ზონებში, აღნიშნულ ტეროტორიაზე არ გამოვლენილა ღირებული მატერიალური და არამატერიალური ობიექტები (300 მ. რადიუსში. იხ რუქა).



განაშენიანების დეტალური გეგმა
საბაჯისო მონაცემები

ბოლ. ქ. ბათუმში, ორბელი ძმების ქუჩა, გაბრიელ სალოსის ქუჩა, ნაკ. 20.42.12.355, განმარტებითი ნაწილის 20.42.12.355; 20.42.02.223; 20.42.02.683; 20.42.02.831; 20.42.12.010; 20.42.12.338.

კულტურული ფასეულობები

ექსპლიკაცია

- განმარტებითი ნართული
- მანძილი უახლოეს კულტურული ფასეულობის მჭრელ ობიექტთან 1,13 კმ

შემსრულებელი
შპს პოლიტა
კერძო ინიციატივის საშუალებით

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია

მაშტაბი

150 0 150 300 450 600

7. ინფრასტრუქტურა:
7.1. სოციალური

სოციალური ინფრასტრუქტურა, მათ შორის ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის, სამოქალაქო უსაფრთხოების, რელიგიური და/ან საკულტო ობიექტები გეგმარებით ერთეულზე არ არის განთავსებული, ასევე არ არის განთავსებული 300 მეტრიან რადიუსში (იხ. საბაზისო რუკა).

7.2. სატრანსპორტო

გეგმარებითი ერთეული მოიცავს არეალს, რომელიც შემოიფარგლება დასავლეთიდან დ. აღმაშენებლის გამზირით, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან დ. აღმაშენებლის II შესახვევით და ჩრდილოეთის მხრიდან პროექტით გათვალისწინებული საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმარებული გამჭოლი გზით, რომელიც შესახვევს აკავშირებს დ. აღმაშენებლის გამზირთან.

დავით აღმაშენებლის გამზირი წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის გზას (E-70), იგი გათვალისწინებულია ორმხრივი მოძრაობისათვის, მისი სავალი ნაწილის სიგანე ჩრდილოეთის მიმართულებით შეადგენს 8 მეტრს, ხოლო საპირისპირო მიმართულებით 6,2 მეტრს. სავალი ნაწილი ასფალტირებულია, აღჭურვილია საგზაო ნიშნებითა და მონიშვნის ხაზებით. საკვლევი ობიექტის გასწვრივ არსებული საფეხმავლო ტროტუარი მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით, მისი სიგანე შეადგენს 8,2 მეტრს.

სამხრეთის მხრიდან შესახვევი წარმოადგენს შიგა საქალაქო მნიშვნელობის გზას, მისი სავალი ნაწილის სიგანეა 5,80 მეტრი, შესაძლებელია ავტომობილების ორმხრივი მოძრაობა, მოკირწყლულია ქვაფენილით. გზის გასწვრივ, საკვლევი ობიექტის მიმდებარედ, კეთილმოწყობილია საფეხმავლო ტროტუარი, მისი სიგანე შეადგენს 0,80 მეტრს, ხოლო მოპირდაპირე მხარეს 1,70 მეტრს, ტროტუარები მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით.

აღმოსავლეთის მხრიდან შესახვევი წარმოადგენს შიგა საქალაქო მნიშვნელობის გზას, მისი სავალი ნაწილის სიგანეა 4,8 მეტრი, დაშვებულია მსუბუქი ავტომანქანების მოძრაობა, გზა მოკირწყლულია ქვაფენილით. გზის გასწვრივ კეთილმოწყობილია საფეხმავლო ტროტუარები, თითოეულის სიგანეა 1,70 მეტრი. ტროტუარები მოკირწყლულია დეკორატიული ფილებით.

საკვლევ ობიექტთან უახლოესი საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება განთავსებულია დ. აღმაშენებლის გამზირზე ობიექტის მიმდებარედ მაგისტრალის ორივე მხარეს. დამონტაჟებულია მგზავრებისათვის კეთილმოწყობილი მოსაცდელები. საზოგადოებრივი ტრანსპორტი ასრულებს რეგულარულ რეისებს ქ. ქობულეთის რკინიგზის სადგურიდან ზ. ჟვანიას ხიდამდე, საკვლევი ობიექტის გავლით. ინტერვალი შეადგენს 30 წთ–ს. ასევე რუსთაველის ქუჩაზე მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომლის მარშრუტია ,,ქალაქის სასაფლაო - რკინიგზის სადგური“. ობიექტის მიმდებარედ მოწყობილია მგზავრთა მოსაცდელები და მანძილი შეადგენს 30 და 36 მეტრს. მოძრაობის ინტერვალია 30 წთ.

ქ. ქობულეთის რკინიგზის სადგური და ავტოსადგური განთავსებულია ერთ ლოკაციაზე და საკვლევი ობიექტიდან მანძილი შეადგენს 8,4 კმ–ს, ავტომობილით მის დასაფარად საჭირო დრო შეადგენს 12 წთ–ს, ხოლო ქვეითად მოსიარულეთათვის – 1სთ და 43 წთ–ს. საკვლევი ობიექტის ავტომფლობელებისათვის უახლოესი ავტოგასამართი სადგური (გალფი) მდებარეობს ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩაზე და მანძილი საკვლევი ობიექტიდან შეადგენს 6,1 კმ-ს, მის დასაფარად ავტომობილს დაჭირდება 9 წთ. ასევე აღმაშენებლის გამზირზე განთავსებულია გაზგასამართი სადგური (პრომეთე გაზი), მანძილი შეადგენს 0,9 კმ-ს, მის დასაფარად საჭიროა 1 წთ.


დავით აღმაშენებლის გამზირი
ჭრილი 1
ზედ ზღვა
დავით აღმაშენებლის შესახვევი
რკინიგზისეული ზონა
ტროტუარი
ტრანსპორტის ორზოლიანი საგადახდო ნაწილი
ავტობუსის გაჩერების ადგილი
ტროტუარი
ღობე
სამშენებლო მიწის ნაკვეთი
საკადასტრო საზღვარი
50
670
680
110
320
1150
1280
2130
დავით აღმაშენებლის შესახვევი
ჭრილი 2
ზეითი ძეგლისადგილის ქუჩა
სამშენებლო მიწის ნაკვეთი
ტროტუარი
ტრანსპორტის ორზოლიანი საგადახდო ნაწილი
ტროტუარი
საკადასტრო საზღვარი
170
480
170
820
დავით აღმაშენებლის შესახვევი
ჭრილი 3
ქორეოგრაფის მერაბ ალადაშვილის ქუჩა
სამშენებლო მიწის ნაკვეთი
ტროტუარი
ტრანსპორტის ორზოლიანი საგადახდო ნაწილი
ტროტუარი
საკადასტრო საზღვარი
170
480
60
830

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԱՐԱՐԱՏԻ ՄԱՐԶԻ
ԱՐԱՐԱՏ ՀԱՄԱՅՆՔԻ ԱՎԱԳԱՆԻ ՈՐՈՇՄԱՆ ՆԱԽԱԳԻԾ

ՀՈՂԱՅԻՆ ՕԳՏԱԳՈՐԾՄԱՆ ՆՊԱՏԱԿԱՅԻՆ ԳՈՏԻ ՓՈՓՈԽՈՒԹՅԱՆ ՆԱԽԱԳԻԾ

ՀՈՂԱՄԱՍԵՐԻ ՕԳՏԱԳՈՐԾՄԱՆ ՆՊԱՏԱԿԸ ԵՎ ՊԱՅՄԱՆՆԵՐԸ

ՀՈՂԱՄԱՍԵՐԻ ՍԱՀՄԱՆԱԳԻԾ

ՀՈՂԱՄԱՍԵՐԻ ՕԳՏԱԳՈՐԾՄԱՆ ՆՊԱՏԱԿԸ

ՀՈՂԱՄԱՍԵՐԻ ՕԳՏԱԳՈՐԾՄԱՆ ՆՊԱՏԱԿԸ ԵՎ ՊԱՅՄԱՆՆԵՐԸ

ՀՈՂԱՄԱՍԵՐԻ ՍԱՀՄԱՆԱԳԻԾ

ՀՈՂԱՄԱՍԵՐԻ ՕԳՏԱԳՈՐԾՄԱՆ ՆՊԱՏԱԿ

7.3. საინჟინრო - კომუნალური

გეგმარებითი ერთეული უზრუნველყოფილია ტექნიკური/საინჟინრო-კომუნალური ინფრასტრუქტურით, რომელთა სიმძლავრეები აღწერილია საბაზისო მონაცემებში. საპროექტო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გათვალისწინებით გეგმარებით ერთეულზე განთავსებული იქნება 319 ბინა-ერთეული. მომხმარებელთა მაქსიმალური საერთო რაოდენობის (მათ შორის არსებული ობიექტების რაოდენობის) და სიმძლავრეების მოხმარების პიკური რაოდენობის გათვალისწინებით, 311 ბინიანი საცხოვრებელი სახლის კომუნიკაციებზე დაერთების შესაძლებლობასთან, მათ შორის გაზიფიცირებასთან, წყალმომარაგება/წყალარინებასთან და ენერგომომარაგებასთან დაკავშირებული შესაბამისი ორგანიზაციების მიერ გაცემული სათანადო დოკუმენტაცია წარმოდგენილია ქვემოთ.

577477008 +

O-SGG-CSH-LT-2023-4-10/024469568

SOCAR GEORGIA GAS

SOCAR Georgia Gas LTD
Regional office of Adjara
Gogebashvili (Baku) Str.46
Georgia, Batumi, 6000
Tel: 16 114

E-mail: socargas@socar.ge
www.mygas.ge
www.socargas.ge

შპს „ჰოლდინგ“-ის დირექტორს

ბატონ ამირან ბალაძეს

№ O-SGG-CSH-LT-2023-4-10/02
10.04.2023

ბატონო ამირან

თქვენი მიმდინარე წლის I-SGG-KB-ST-2023-3-23/05 მომართვის პასუხად, გაცნობებთ, რომ ქ.ქობულეთი დავით აღმაშენებლის გამზირი #836 / დავით აღმაშენებლის II შესახვევი #7 (ს/კ. 20.42.12.305; 20.42.12.317; 20.42.12.339) მიმდებარედ განთავსებულია შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“-ს საკუთრებაში არსებული დ=63-იანი საშუალო წნევის მიწისქვეშა პოლიეთილენის გაზსადენი, საიდანაც სრულად არის შესაძლებელი, თქვენს მიერ მოთხოვნილ მისამართზე დაგეგმილი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ბუნებრივი გაზით მომარაგება, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად.

აქვე განგიმარტავთ, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მე-12 დადგენილების შესაბამისად- „ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ორი ან ორზე მეტი ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ“ განაცხადით (ერთობლივი განაცხადით) მომართვის შემთხვევაში წინასწარ სრულად უნდა გადაიხადოთ გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური, ამასთან განაცხადს დამატებით უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მომხმარებლების (აბონენტების) მიხედვით მისაერთებელი სიმძლავრე, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური და ამ მომხმარებლების დაზუსტებული მისამართები, საკადასტრო კოდის მითითებით;

ბ) ობიექტის არქიტექტურული პროექტის შესაბამისი გაზმომარაგების სქემა ელექტრონული ფორმით (ბეჭდური განაცხადის შემთხვევაში CD ან DVD ფორმატით), ამასთან თუ თქვენი ობიექტი აშენებულია საქართველოს მთავრობის N41 დედგენილების საფუძველზე(აქ ჩაწერეთ სრული სახელწოდება), გაზმომარაგების სქემა წარმოადგენს შენობის კონსტრუქციული ნაწილის შემადგენელს, შესაბამისად თქვნე მიერ წარმოადგენილი უნდა იყოს პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, რადგან სრულად იყოს გამოკვეთილი რომ გაზმომარაგების წარმოდგენილი სქემა კონსტრუქციული სქემის შემადგენელია.;

გ) მიერთების საფასურის სრულად გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტირებისას გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აღრიცხვის კვანძების განთავსების ადგილი შერჩეული იყოს საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების და საერთაშორისო სტანდარტის - სსო (ISO) 17484-2 შესაბამისად. მრიცხველების მოსაწყობად უნდა გამოიყოს სპეციალური ნიშა (ყველა ან რამოდენიმე სართულზე) რომელსაც ფასადის მხარეს ექნება ვენტილირებული მოპირკეთება (პერგოლა, ცხაური, გისოსი) ან/და მრიცხველები განთავსდეს პირველ სართულზე, ღია სივრცეში. ერთ ნიშაში ერთდროულად უნდა განთავსდეს არაუმეტეს 15 მრიცხველისა. გაზსადენი (დგარი) გატარებული უნდა იყოს ასევე ღია სივრცეში.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მე-12 დადგენილების შესაბამისად მომხმარებლის ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოებს ახორციელებს გაზგამანაწილებელი კომპანია, მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი შესაბამისი საფასურის საფუძველზე. დადგენილების თანახმად-„იმ შემთხვევაში, თუ გამანაწილებელ ქსელზე ხდება ისეთი ახალი მომხმარებლის (მომხმარებლების) მიერთება, რომელზეც ვრცელდება გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური, ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოების შესრულებას უზრუნველყოფს მხოლოდ შესაბამისი განაწილების ლიცენზიატი. ამ შემთხვევაში განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა საჭირო სამუშაო და ხარჯი (სრული ტექნოლოგიური ციკლი), მათ შორის, გამანაწილებელი ქსელის გაყვანა, მიერთებისათვის საჭირო საშუალებების შეძენა, მიერთების საპროექტო-სამშენებლო სამუშაოები, მის შესრულებასთან დაკავშირებული თანხმობის ან ნებართვის მოპოვება და აღრიცხვის კვანძის მოწყობა, ბუნებრივი გაზით მომარაგების დაწყების ჩათვლით. ახალი მომხმარებლის კუთვნილ ტერიტორიაზე ქსელის მოწყობას (შიდა ქსელი) უზრუნველყოფს ახალი მომხმარებელი“

საპროექტო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულდეს საერთაშორისო სტანდარტის - სსო (ISO) 17484-2 შესაბამისად, მრიცხველებიდან გაზდანადგარებამდე უნდა დამონტაჟეს უწყვეტი ალუმინის მრავალშრიანი მილები, შენობის შიგნით მილგაყვანილობის მარშრუტი უნდა გადიოდეს ვენტილირებად სივრცეებში ან გამოყენებული უნდა იყოს ვენტილირებადი მილები (საჰაერო არხები/მილები) ან მილის გარშემო სივრცე შეივსოს ინერტული მასალებით. გაზსადენი უნდა მოთავდეს ისეთ კორპუსში, რომელიც უზრუნველყოფს დაცვას ხანძრის შემთხვევაში. გარეშე(არა გამანაწილებელი ლიცენზიატის). შესაბამისად გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი მითითებები მშენებლობის დროს, რათა გამანაწილებელი კომპანიის მიერ გაზიფიცირების სამუშაოები შესრულდეს უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით. მომხმარებლის საკუთრებაში არსებული ქსელის მოწყობის დროს გთხოვთ ასევე გაითვალისწინოთ გაზსადენი მილის უწყვეტობის მნიშვნელობა გაზის გაჟონვისა და უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად, ამასთან მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს გამოყენებული მასალების სერთიფიკატები და ფარულ სამუშაოთა აქტი.

აქვე უნდა განიმარტოს, რომ შენობა-ნაგებობებში გაზიფიკაციის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება დასაშვებია მხოლოდ იმ პირობით, თუ მითითებულ შენობებში დასრულებულია კონსტრუქციული სისტემისა და ექსტერიერის სამშენებლო სამუშაოები (გარდა მოსაპირკეთებელი და

კეთილმოწყობის სამუშაოებისა), მათ შორის, აშენებულია ყველა სართული, გადახურვით, საერთო სარგებლობის ფართობი, სადაც განთავსებული იქნება გაზგაყვანილობა და/ან გაზის აღრიცხვის ხელსაწყოები, რომლებიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი ვენტილაციით, ხოლო მრავალბინიანი შენობების შემთხვევაში, დასრულებულია და დაცულია ლიფტის შახტები; მოწესრიგებულია კიბის უჯრედები და გამოყოფილია ბინები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ „განაწილების ლიცენზიანტისთვის“ აუცილებელ პირობად განსაზღვრულია ბუნებრივი გაზით უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო მომარაგება, გთხოვთ გაითვალისწინოთ წინამდებარე წერილში მითითებული ტექნიკური და სამართლებრივი საფუძვლები და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოთ ყველა საჭირო დოკუმენტაცია და დაიცვათ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები. საკითხის აქტუალობიდან, შემდგომში გაზიფიცირების სამუშაოების შეფერხების ან/და შეუძლებლობის გამორიცხვის მიზნით, გთხოვთ გაზგამანაწილებელი ქსელის სქემა, მრიცხველების განთავსების ადგილი წინასწარ შეათანხმოთ ჩვენს კომპანიასთან.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ.ბათუმი, ბაქოს ქუჩა №46.

პატივისცემით,
აჭარის რეგიონალური ოფისის
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ვ.ბერიშვილი

ENERGO-PRO

JSC ENERGO-PRO GEORGIA
24 Zurab Anjaparidze street
0186 Tbilisi, Georgia

სს „ენერგო-პრო ჯორჯია"
ზურაბ ანჯაფარიძის ქ.24
0186 თბილისი, საქართველო
5260531

შპს „ჰოლდინგი"-ს დირექტორს
ბატონ ამირან ბალაძეს
ს/კ: 448413066
მის: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
სოფ: ქვედა სალიბაური მე-6 ჩიხი N4

ბატონო ამირან,

ქ-ნ ქვენი 2023 წლის 20 მარტის (შემ. №9035283) განცხადების პასუხად, რომელიც ეხებოდა ქ. ქობულეთში დ.აღმაშენებლის გამზირი N836ა/დ.აღმაშენებლის გამზირი შესახვევი II N7-ში ს/კ:20.42.12.305, 20.42.12.317, 20.42.12.339 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ტერიტორიაზე დაგეგმილი, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებას და ამასთან დაკავშირებით, აღნიშნულ ტერიტორიებზე ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის 963 კვტ სიმძლავრის ელ. ენერგიით მომარაგებისთვის, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების წერტილის განსაზღვრას, გაცნობებთ, რომ რომ ასალი ობიექტის ელექტროენერგიით მომარაგებასთან დაკავშირებული საკითხები დარეგულირებულია, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული, 2021 წლის 28 ივნისის №19 დადგენილების „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესები"-ს 18-ე მუხლით. აღნიშნული დადგენილების თანახმად. ქლ. ქსელზე მიერთების მსურველი ვალდებულია, გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნით, ობიექტის დადგმული სიმძლავრის მითითებით, მიმართოს განაწილების ლიცენზიანტს და ავანსის სახით გადაიხადოს გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური. აღნიშნული პროცედურის შესრულების შემდეგ, კომპანია იმოქმედებს ზემოთ აღნიშნული დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

აქვე გაცნობებთ, რომ განაცხადთან ერთად წარმოადგინოთ თანხმობის წერილი, მიწის გადმოცემის შესახებ, უსასყიდლოთ სარგებლობის უფლებით სატრანსფ. პუნქტის/ქვესადგურის განსათავსებლად.

დანართი: განცხადება 1 ფურცლად „მიწის გადმოცემის შესახებ".

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ჩვენი კომპანიის ვებ–გვერდზე: www. energo-pro.ge

პატივისცემით,
დავით ხარშილაძე
გასვითარების მენეჯერი.

შეკრ: სულხან ჭანიძე ტელ 577350528

საქართველო, აჭარის ა.რ
ქობულეთის მუნიციპალიტეტი
შ.პ.ს. "ქობულეთის წყალი"

GEORGIA, A.R. OF ADJARA
MUNICIPALITY OF KOBULETI
"KOBULETI WATER" L.T.D.

წერილის ნომერი: **35-11423093288**
თარიღი: **03/04/2023**

ადრესატი: შ.პ.ს. „ჰოლდინგ"
მისამართი: ხელვაჩაური, სოფ. ქვედა სალიბაურო მე-6 ჩიხი N4

შ.პ.ს. „ჰოლდინგ" - ის დირექტორს
ბატონ ამირან ბალაძეს

ბატონო ამირან,

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქობულეთში აღმაშენებლის გამზირის N836ა, აღმაშენებლის II შესახ. N7 (ს/კ 20.42.12.305, 20.42.12.317, 20.42.12.339) მდებარე მიწის ნაკვეთებში, შესაძლოა წყალომარაგებისა და წყალარინების სისტემაზე, თქვენს მიერ მოწოდებული სიმძლავრეების გათვალისწინებით დაერთება.

პატივისცემით

სულხან გორჯელაძე

შპს "ქობულეთის წყალი"-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



6200. ქ.ქობულეთი, კაპიტან შვილის ქ. N52.
EMAIL: KOBULETISTSKALI@GMAIL.COM TEL: 0426 26 20 51

განაშენიანების დეტალური გეგმის წინასაპროექტო კვლევისთვის წყალმომარაგებისა და წყალარინების შესაძლებლობისა და პერსპექტიული სქემის ანალიზი.
ქალაქ ქობულეთში დ. აღმაშენებლის გამზირი №836ა / დ. აღმაშენებლის გამზირი შესახვევი II, N7-ში და დ. აღმაშენებლის გამზირი შესახვევი II, N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთებისათვის (ს.კ 20.42.12.305; 20.42.12.317; 20.42.12.339)

ქ. ქობულეთში დ. აღმაშენებლის გამზირი №836ა / დ. აღმაშენებლის გამზირი შესახვევი II, N7-ში და დ. აღმაშენებლის გამზირი შესახვევი II, N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ 20.42.12.305; 20.42.12.317; 20.42.12.339) დაგეგმილია 18 სართულიანი 311 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

საპროექტო ტერიტორიის მომავალი წყალმოამრაგებისა და წყალარინების სისტემის უზრუველსაყოფად, შესწავლილი იქნა საკვლევ ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელისა და წყალარინების ქსელის არსებული მდგომარეობა და ასევე საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების შესაძლო მოცულობების ხარჯები:

საპროექტო ტერიტორიაზე გასანთავსებელი საცხოვრებელი დანიშნულების შენობა ნაგებობა დაკომპლექტებულია სტანდარტული საცხოვრებელი ბინებით, სადაც 1 შენობა ნაგებობის საცხოვრებელი სახლის ბინების საერთო რაოდენობაა 311 ერთეული: 18 სართული = 311 ბინა, მოცულობების დაანგარიშებისათვის გამოყენებულია საბაზანოს 3 სველი წერტილი; სამზარეულოს 3 სველი წერტილი,

საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობა		
#	**სართულიანობა**	**ბინების რაოდენობა**
1.	18 სართულიანი	**311 საცხოვრებელი ბინა**
სულ საცხოვრებელი შენობა ნაგებობა:		**1 ერთეული**
სულ სართულიანობა:		**18 სართული**
სულ საცხოვრებელი ბინების რაოდენობა:		**311 ერთეული**

საცხოვრებელი ბინები:

ა - საპირფარეშო
ბ - სამზარეულო

#		დასახელება	ხარჯი / ნორმა სულზე დღ/ღ	საშუალოდ დღ/ღ
ა	1.	ხელსაბანი	40 ლტ.	300 ლტ.
	2.	საშხაპე	85 ლტ.	450 ლტ.
	3.	უნიტაზი	50 ლტ.	400 ლტ.
ბ	4.	ხელსაბანი	40 ლტ.	300 ლტ.
	5.	ჭურჭლის სარეცხი ონკანი	60 ლტ.	450 ლტ.

	6.	ტანსაცმლის სარეცხი მანქანა	45 ლტ.	200 ლტ.
გ	**7.**	***სახანძრო უსაფრთხოება***	***1500 ლტ.***	***1500 ლტ.***

დეტალური აღწერა					
საშუალო წყლის ხარჯი ერთ საცხოვრებელ ბინაზე მიღებულია		**(300+450+400+300+450+200)=1800 ლტ.დღ/ღ**			
1800 ლტ.დღ/ღ * 311 + 1500 = 561300 ლტ.დღ/ღ					
#	**დასახელება**	**ლტ.დღ/ღ**	**კბმ/დღ/ღ**	**დიამეტრი**	
				წყალი	**წყალარინება**
1.	საცხოვრებელი სახლი	**561300**	**561.3**	**90 მმ**	**150 მმ**

წყლის საანგარიშო ხარჯების გამოსათვლელად საჭირო ნორმატივები აღებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნ და წ. 2.04.02-84) მიხედვით. წყლის ხარჯები იანგარიშება შემდეგი ფორმულებით.

საშუალო დღე-ღამური ხაჯი

$$Q\ \text{დღ.საშ} = \frac{N*n}{1000} მ^3/\text{დღ.ს}$$

სადაც: N-არის მოსახლეობის რაოდენობა 1555 კაცი;

n-წყლისნორმა ერთსულ მოსახლეზე 250 ლიტრი/დღე;

$$Q\ \text{დღ.საშ} = \frac{1555*311}{1000} = 483.6\ მ^3/\text{დღ.}\ 20.15\ მ^3/\text{სთ.} = 5.59\ \text{ლ/წმ}$$

მაქსიმალური დღედამური ხარჯი, რომელიც მოსახლეობითვისაა საჭირო

$$Q^{მოს}_{მაქ.დ.ღ.} = K_{დ.ღ.} x Q^{საშ}_{დ.ღ.}$$

$K_{დ.ღ.}$ - დღე-ღამური უთანაბრობის კოეფიციენტია, მიიღება $K_{დ.ღ.}$ =1,2

$$Q^{მოს}_{მაქ.დ.ღ.} = 1,2 \text{ x } 483.6\ მ3/\text{დ.ღ} = 580.32\ მ3/\text{დ.ღ}$$

გაუთვალისწინებელი ადგილობრივი წყალმომარაგებისათვის ვიღებთ 30%-ს მაშინ მთლიანი მაქსიმალური დღე-ღამური ხარჯი იქნება

$$Q_{მაქ.დ.ღ.} = 1,3 Q^{მოს}_{მაქ.დ.ღ.} = 1,3 \text{ x } 483.6\ მ3/\text{დ.ღ} = 628.68\ მ3/\text{დ.ღ}$$

$K_{მაქ.სთ.}$-საათური უთანაბრობის კოეფიციენტია და გამოითვლება ფორმულით

$$K_{მაქ.სთ.} = \alpha_{მაქ} x \beta_{მაქ}$$

Kმაქ. სთ - საათური უთანაბრობის კოეფიციენტია და გამოითვლება ფორმულით

Kმაქ. სთ=მაქ × მაქ

αმაქ - კოეფიციენტია, რომელიც შენობის კეთილმოწყობის ხარისხსა და კოეფიციენტია, რომელიც შენობის კეთილმოწყობის ხარისხსა და ადგილობრივ პირობებს ითვალისწინებს და მიიღება αმაქ=1,2÷ 1,4, ვიღებთ αმაქ=1,3;

βმაქ - კოეფიციენტია, რომელიც ცხრილი 2-დან აიღება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ჩვენ შემთხვევაში βმაქ=1,4, მაშინ

Kმაქ. სთ=1,3×1,4=1,82, ხოლო

qმაქ.წმ=1,82×3,255=5.92 ლ/წმ

qსაშ.წმ. ხარჯზე იანგარიშება საპროექტო წნევიანი წყალდენი რეზერვუარამდე, ხოლო qმაქ.წმ.ხარჯზე - წყალსადენის ქსელი რეზერვუარის შემდეგ. ამასთანავე წყალსადენი ქსელი მოწმდება qმაქ.წმპლუსnqსახ. ხარჯზე.

n - ერთდროულად მოსალოდნელ ხანძართა რაოდენობაა. იგი აიღება ცხრილი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. ჩვენ შემთხვევაში n=1.

qსახ. - ერთი ხანძრის ჩასაქრობად საჭირო წყლის ხარჯია. იმავე ცხრილიდან მიიღება მოსახლეობის რაოდენობისა და განაშენიანების სართულიანობის მიხევით და ჩვენ შემთხვევაში ტოლია qსახ. = 10 ლ/წმ.

მაშინ წყლის ჯამური ხარჯი, რომელზე ანგარიშითაც უნდა შემოწმდეს წყალსადენის ქსელი იქნება:

$$q_{მაქ.\ წმ.} + q_{სახ.} = \mathbf{15.92}\ ლ/წმ.$$

ხოლო საპროექტო კორპუსის მოთხოვნა სართულებისა და ბინების გაანგირიშებით წყალმომარაგების მოცულობა განისაზღვრება **6,49** ლ/წმ. ანუ **561,3** $მ^3$/დ.ღ

აღნიშნული მოხმარების მიხედვით, ზემოთ მოყვანილი ცხრილები/დატვირთვები გაანგარიშებულია 24 საათიანი სრული დატვირთვის მიხედვით, რაც სავსებით შეესაბამება წინასწარი საპროექტო მონაცემების გაანგარიშებას.

ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია ფართოდ/მასიურად გაშლილია და საპროექტო შენობა-ნაგებობები განაწილებულია შესაბამისი განაშენიანების მიხედვით, მიზანშეწონილი იქნება დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე მოხდეს საპროექტო საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე ტექნიკური სართული მოწყობა, სადაც განთავსებული იქნება ჰიდრავლიკური

ტუმბოები, რომლებიც 18 სართულზე შესაბამისი მოთხოვნის მიხედვით, ავტომატურად დატვირთვების გაანგარიშებით, საჭიროების შემთხვევაში წყლის წნევის ცვალებადობის ან არასაკმარისად მიწოდების შემთვევაში, სტაბილურად უზრუნველყოფს ყოველ სართულზე წყლის მიწოდებას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საპროექტო შენობა ნაგებობობის წყლის მაქსიმალური მოთხოვნა არის 628$მ^3$/დღ/ღ, რომელსაც ესაჭიროება დ90მმ-იანი წყალმომარაგების მილით დაერთება და წყალმომარაგების უზრუნველყოფა, რაც უზრუნველყოფს 628$მ^3$/დღ/ღ -მდე წყალმომარაგების გამტარიანობას.

წყალარინების ქსელის დაერთება აღნიშნული დატვირთვებით რეკომენდირებულია დ150მმ-იანი წყალარინების მილით ცენტრალურ ქსელზე დაერთებით, რომელიც უზრუნველყოფს 1000კბმ/დღ/ღ სითხის გამტარიანობას, მაგრამ წყალარინების შემთხვევაში, როგორც წყალმომარაგების ნაწილში აუცილებელი იქნება შიდა წყალარინების ქსელის მოწყობა, შესაბამისი შემკრები წყალარინების ჭებით, რომლებსაც დახურული თუჯის სახურავები ექნება.

ყოველივე ზემოხსენებული ავტონომიური და განცალკავებული ქსელები, ხელს შეუწყობს ოპერატორის მხრიდან მარტივ ექსპლუატაციას ორივე ქსელზე და ასევე ხარვეზები და ქსელური კონფლიქტები არ იქნება გამოწვეული.

სანიაღვრე - ჩამდინარე წყლების ჩართვა შესაძლებელი იქნება, საპროექტო ობიექტის მიმდებარედ არსებულ სანიაღვრე არხში, რომლებზეც შესაძლებელი იქნება საპროექტო ტერიტორიის წვიმის და ჩამდინარე წყლის ჩაშვება.

საინჟინრო - საკონსულტაციო ჯგუფი

განაშენიანების დეტალური გეგმის წინასაპროექტო კვლევისთვის
ელექტრომომარაგების შესაძლებლობისა და პერსპექტიული სქემის ანალიზი.

ქალაქ ქობულეთში დ. აღმაშენებლის გამზირი №836ა / დ. აღმაშენებლის გამზირი შესახვევი II, N7-ში და დ. აღმაშენებლის გამზირი შესახვევი II, N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ 20.42.12.305; 20.42.12.317; 20.42.12.339) უნდა აშენდეს 311 ბინიანი 18 სართულიანი საცხოვრებელი სახლი 2 ერთეული კომერციული ფართით;

საპროექტო ტერიტორიის მომავალი ელექტრომომარაგების სისტემის უზრუველსაყოფად, შესწავლილი იქნა საკვლევ ტერიტორიაზე არსებული გამანაწილებელი ქსელი და დაანგარიშებული იქნა (სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.194 საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №20 2008 წლის 18 სექტემბერი ქ. ქუთაისი „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“) გათვალისწინებით, საპროექტო საცხოვრებელი სახლის ელექტრომომარაგებისათვის საჭირო მოთხოვნილი სიმძლავრის შესაძლო რაოდენობა.

საპროექტო საცხოვრებელი სახლი დაკომპლექტებულია საცხოვრებელი ბინებით. აქედან გამომდინარე ელექრო ენერგიის მოთხოვნილი სიმძლავრის დაანგარიშებისათვის გამოყენებულია ბინების რაოდენობა, (ბინების რაოდენობიდან გამომდინარე დადგენილება №20 მიხედვით ირჩევა სიმძლავრის დასაანგარიშებელი კოეფიციენტი ერთი ბინისთვის).

საცხოვრებელი ბინების დასაანგარიშებელი კოეფიციენტი 200 დან 250 ბინამდე შემთხვევაში განისაზღვრება 0,257 კოეფიციენტით; ანუ 1 ბინაზე მომხმარებლის სიმძლავრე შეადგენს 10 კვტს. კოიფიციენტი იანგარიშება (10*0,257)=2,57 კვტ

დადგენილება №20 მიხედვით ასევე ირჩევა სიმძლავრის დასაანგარიშებელი კოეფიციენტი კომერციული ფართებისთვის (1მ^2–0,14კვტ);

ასევე გათვალისწინებულია ხანძრის ქრობის და სიგნალიზაციის სისტემები, ლიფტები, წყალმომარაგება, ავტო ფარეხი, საერთო ფართის განათება.

წარმოდგენილი ექსპლიკაციის მიხედვით, ვადგენთ სიმძლავრის დაანგარიშების ცხრილს.

10 კვტ-დან 311 ბინის შემთხვევაში 0,257 კოეფიციენტით; ანუ 1 ბინაზე(10*0,257)=2,57 კვტ

#	დასახელება	K ერთეული/კვტ	რაოდენობა ც/მ^2	სულ/კვტ
1.	ბინები	2.57	311	799.27
2.	ლიფტი	10	2	20
3.	ხანძრის ქრობის სისტემები	80	1	80
4.	საერთო ფართის განათება	10	1	10
5.	სერვერი-სუსტი დენები	10	1	10
6.	სატუმბო სადგური	16	1	16
7.	კომერციული ფართი	14	2	28
8.	სულ ჯამური			963,27

საპროექტო ობიექტის მოთხოვნილი სიმძლავრეა 963,27 კვტ

აღნიშნული მოთხოვნილი სიმძლავრით ობიექტის მომარაგებისათვის, ტერიტორიაზე უნდა გამოიყოს 40 მ^2 ფართობის ნაკვეთი და დაპროექტდეს 10/0,4 კვ-ის 1000 კვა სიმძლავრის სატრანსფორმატორო ქვესადგური. 1 ც 1000კვა სიმძლავრის ტრ-ით.

110/35/10 კვ-ის ქ/ს ,,ქობულეთი“-ს 36 აწძიდან უნდა გაუქმდეს საკაბელო ხაზის გადასვლა საჰაერო ხაზზე, გადაებას შუალედური ქუროს მეშვეობით არსებული 10 კვ-ის საკაბელო ხაზი ახალ 10 კვ-ის საკაბელო ხაზზე და შევიდეს საპროექტო ობიექტის ახალ საპროექტო ქვესადგურში, საიდანაც განხორციელდება საკაბელო ახალი 10კვ-ი ხაზის გასვლა არსებულ 10/0,4 კვ-ის #102-019 სატრანსფორმატორო ქვესაგურში. (საპროექტო 10/04 კვ-ის ქვესადგურში განხორციელდება საკაბელო ხაზის შესვლა და გასვლა.)

უნდა აშენდეს 10კვ-ის 1*3*150 მმ^2 ელექტრო საკაბელო ხაზი სიგრძით 300 მ .

უნდა აშენდეს 10/0,4კვ-ის 1000 კვა სიმძლავრის ერთტრანსფორმატორიანი ქვესადგური.

10/0,4კვ-ის 1000 კვა სიმძლავრის სატრანსფორმატორო ქვესადგურის 10 კვ-ის გამანაწილებელ მოწყობილობაში უნდა დამონტაჟდეს 10 კვ-ის 2 ცალი სახაზო და 1 ცალი სატრანსფორმატორო უკრედი.

10/0,4კვ-ის 1000 კვა სიმძლავრის ერთტრანსფორმატორიანი ქვესადგურის 0,4 კვ-ის გამანაწილებელი მოწყობილობიდან უნდა განხორციელდეს საპროექტო საცხოვრებელი სახლის ელმომარაგება.

ობიექტის 10/0,4 კვ-ის საპროექტო სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან ობიექტი ელმომარაგდება 0,4 კვ-ი ქსელით, უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი და შეთანხმებული ელექტროტექნიკური პროექტის საფუძველზე.

10/0,4 კვ-ის ასაშენებელი საკაბელო ელექტრო გადამცემი ხაზი და საპროექტო ობიექტის სატრანსფორმატორო ქვესადგურის სავარაუდო ადგილი ნაჩვენებია ელექტრომომარაგების გეგმაზე.

ინჟინერი ენერგეტიკოსი: ტარიელ გოგიჩაიშვილი

განაშენიანების დეტალური გეგმის წინასაპროექტო კვლევისთვის გაზიფიცირების შესაძლებლობისა და პერსპექტიული გაზმომარაგების ანალიზი.

ქალაქ ქობულეთში დ. აღმაშენებლის გამზირი №836ა / დ. აღმაშენებლის გამზირი შესახვევი II, N7-ში და დ. აღმაშენებლის გამზირი შესახვევი II, N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთისათვის (ს.კ 20.42.12.305; 20.42.12.317; 20.42.12.339)

ქალაქ ქობულეთში მდებარე, დამკვეთის მიერ მოსაკვლევად მითითებული საპროექტო ტერიტორიული ერთეული, რომელიც ამჟამად შედგება 3 ცალკეული, მომიჯნავედ განლაგებული მიწის ნაკვეთისაგან, სამომავლო კვლევისთვის წარმოადგენს ერთიან საამშენებლო მოედანს, სადაც უნდა დაიგეგმოს მრავალსათულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს განისაზღვროს დასაგეგმ შენობა ნაგებობებში მომავალი გაზის მომხმარებლებისთვის საჭირო, საანგარიშო გაზის ერთობლივი (ჯამური) მოხმარების პიკური რაოდენობა რათა გაზის მიმწოდებელმა (ლიცენზიანტმა) კომპანიამ განსაზღვროს არსებული ან ასაშენებელი გაზსადენების ქსელით საცხოვრებელი სახლის გაზმომარაგების შეუფერხებელი უზრუნველყოფა.

დასაგეგმი შენობა ნაგებობა წარმოადგენს საცხოვრებელ, 18 სართულიან, 311 ბინიან სახლს, პირველ სართულზე 2 არასაყოფაცხოვრებო (კომერციული) დანიშნულების ფართით.

დაგეგმილი საცხოვრებელი სახლის გაზით მომარაგებისთვის პიკური მოხმარების საანგარიშო ოდენობის განსასაზღვრად ვიყენებთ პირველად საპროექტო მონაცემებს, რის საფუძველზეც სახლისთვის, პოტენციური აბონენტის ტიპის (საყოფაცხოვრებო ან არასაყოფაცხოვრებო) მიხედვით სავარაუდო გაზის ხელსაწყოების, მათი მომხმარების რაოდენობრივი მონაცემების და ერთობლივი მოხმარების შესაძლებლობის შესაბამისი კოეფიციენტის გათვალისწინებით ვითვლით გაზის შესაძლო მაქსიმალურ მოთხოვნას.

მრავალბინიანი სახლების ბინების საანგარიშო ჯამური რაოდენიბა შეადგენს 311 ერთეულს, პოტენციური მომხმარებლის საანგარიშო მაქსიმალური საათური გაზის ხარჯი 4 ქურატიანი გაზქურის და გათბობის (ცხელი წყლის) ქვაბის (მოცემული ბინის ფართების გათვალისწინებით) ჯამური გაზის მოხმარება ჯამში 2.6ჯუბ.მ/სთ, ცალკეულ ბინაში ხელსაწყოების ერთობლივი მოხმარების საანგარიშო კოეფიციენტის (K1=0.8) და ბინების რაოდენობის მიხედვით ერთობლივი მოხმარების კოეფიციენტების (ამ შემთხვევაში K2=0.65) გათვალისწინებით, მარტო მრავალბინანი საცხოვრებელი სახლების ერთობლივი შესაძლო პიკური საათური გაზის ხარჯი შეიძლება დავთვალოთ შემდეგნაირად

Qmax= 311* 2.6*0.8*0.65=420.47 კუბ.მ/სთ

შენობაში დაგაემილი არასაცხოვრებელი პოტენციური გაზის მომხმარებლების (სულ 2 ცალკეული ფართი) კერძოდ: სავაჭრო, კვების ობიექტების და მცირე წარმადობის საცხობის, სავარაუდო გაზის საათური მაქსიმალური ხარჯი თითოეულისთვის ცალ-ცალკე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი ნაგებობის პირველ სართულზე განლაგებული აბონტების სიმძლავრის შეზღუდვის გამო შეგვიძლია 10ჯუბ.მ/სთ-ის ტოლად მივიღოთ, შესაბამისად ორივე სავარაუდო არასაყოფაცხოვრებო პოტენციური გაზის მომხმარებლის მაქსიმალური საანგარიშო ჯამური გაზის მოხმარება იქნება,

Qmax= 2* 10=20 კუბ.მ/სთ

სახლისთვის საანგარიშო მაქსიმალური (პიკური) ჯამური გაზის მოთხოვნა იქნება:

Qmax=420.47 +20 =440.47კუბ.მ/სთ

საცხოვრებელი სახლის მომავალი გაზის მომხმარებლები უნდა დაერთდნენ გაზის დაბალი წნევის საფეხურზე, 20 მილიბარამდე გაზის წნევით.

შემსრულებელი; სპეციალისტი, ბუნებრივი აირით

მომარაგების საკითხებში. ი. ბურჭულაძე

8. საკუთრების სტრუქტურა

გეგმარებით ერთეულზე მდებარე მიწის ნაკვეთები, მასზე გათავსებული შენობები წარმოადგენენ კერძო პირების საკუთრებას.

მიწის ნაკვეთი		
N	საკადასტრო კოდი	მესაკუთრე
1	**2**	3
1	**20.42.12.355**	**მამუკა ვერულიძე**
2	20.42.02.223	ლევან ბოლქვაძე
3	20.42.02.683	გიორგი გოგიტიძე
4	20.42.02.831	ლამარა ბოლქვაძე
5	20.42.12.010	დმიტრიი კუკსინსკიი
6	20.42.12.338	მანანა ბლადაძე
7	დაურეგისტრირებელი	დაურეგ-ბელი

9. ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების გეგმები, მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული განვითარების სხვა გეგმები / პროგრამები

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ გდგ-ს შემუშავების დროისათვის გეგმარებითი ერთეულის მიმართ ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებები დაგეგმილი არ არის, ამასთან მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დამტკიცებული განვითარების სხვა გეგმები / პროგრამები.

10. დარგობრივი გეგმები და ქალაქთმშენებლობითი გეგმები.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გდგ-ს შემუშავების დროისათვის დარგობრივი გეგმები არ არის შემუშავებული, დამტკიცებული ან შემუშავების პროცესში არ არის მომიჯნავედ მყოფი ქალაქთმშენებლობითი განსხვავებული გეგმები, მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებულია ქალაქ ქობულეთის გენერალური და განაშენიანების გეგმები, ამასთან შემუშავების პროცესშია ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი - განაშენიანების დეტალური გეგმა.

„ქალაქ ქობულეთის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის №11 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ქობულეთის გენერალური გეგმით, გეგმარებითი ერთეული მოქცეულია საცხოვრებელ ზონაში, რომლის მიმართ მოთხოვნები გაწერილია იეარარქიულად ქვემდგომ განაშენიანების გეგმაში. იგი წარმოადგენს სამშენებლო ტერიტორიას, რომელშიც დასაშვებია განსათავსებელი ობიექტის გამოყენების სახეობა.

განაშენიანების პარამეტრები განსაზღვრულია იეარარქიულად ქვემდგომ განაშენიანების გეგმაში, კერძოდ:
სამშენებლო ქვეზონა - საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა (სზ-3).

განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1) = 0,5;
განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) = 1,8-მდე;
გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) = 0,3.


თემატური რუკები
პერსპექტიული განვითარება (ხედვა)
ფუნქციურ ზონები
ქალაქ ქობულეთის გენერალური გეგმა
N


ფუნქციურ ზონები
პირობითი ნიშნები
ავტობანი
გამსაკუთრებული რეგულირების ტერიტორია
შენობა
საზოგადოებრივი
საცხოვრებელი
არხი
ტრიბუნარი
ქუჩა
გრუნტიანი გზა
ადმინისტრაციული საზღვარი (ხედვა)
დაცვითი ზონა
გამწვანებული ტერიტორიები
სასოფლო სამეურნეო ტერიტორია
ზღვისპირა საკურორტო ინფრასტრუქტურის ტერიტორია
ლოკალური საკურორტო ინფრასტრუქტურის ტერიტორია
საზოგადოებრივი ავტოსადგომებისათვის განკუთვნილი ტერიტორიები
ინდუსტრიული ზონა - იზ
საცხოვრებელი ზონა - სზ
ღანდშაფტური ტერიტორია
შერეული ზონა - შზ


ქალაქ ქობულეთის განაშენიანების გეგმა
თემატური რუკები
პერსპექტიული
განვითარება (ხედვა)
ფუნქციური ქვეზონები
(უფლებრივი ზონირება)
პირობითი ნიშნები
შენობა
სარეკომენდაციო ზღვრული მაჩვენებლების სქემა
N


ფუნქციური ქვეზონები
(უფლებრივი ზონირება)
პირობითი ნიშნები
შენობა

11. განვითარების ზღვრული სიმჭიდროვეები

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების №8 დანართი სარეკომენდაციოა და მისი გათვალისწინება რეკომენდირებულია უშენი ტერიტორიების გემარებითი საბალანსო ერთეულებისათვის. ხსენებული დანართის მე-3 პუნქტის მიხედვით, ამავე პუნქტში მოცემული მარეგულირებელი ინდიკატორები არ არის რეალური მდგომარეობით ნორმატიული მაჩვენებლების დადგენის საფუძველი.

დადგენილების მე-2 მუხლის (ტერმინთა განმარტება) პირველი ნაწილის „მ)“ პუნქტის განმარტების მიხედვით: „უშენი ტერიტორია – დასახლების ნაწილი, რომელიც არ მიეკუთვნება ნაშენ ტერიტორიას, უმეტესად მწვანე საფარითაა დაფარული და 300 მეტრის რადიუსში არ არის განთავსებული შენობა-ნაგებობა.“
აღნიშნულიდან გამომდინარე გეგმარებითი ერთეული წარმოადგენს ნაშენ ტერიტორიას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გეგმარებითი ერთეულის მიმართ განვითარების ზღვრული სიმჭიდროვის მაჩვენებელი არ განისაზღვრება.

12. ალტერნატივები და ლიმიტაციები

„სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი“-ს მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იერარქიულად ქვედა დონის დოკუმენტში - გდგ-ში ალტერნატივების ასახვა არ წარმოადგენს სავალდებულოობას/საჭიროებას.
ამასთან, კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით ალტერნატივები შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს საქართველოს სივრცითი მოწყობის სქემაში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გდგ არ საჭიროებს ალტერნატივების განხილვას.
განაშენიანების დეტალური გეგმის მიხედვით იცვლება განაშენიანების პარამეტრები, ლიმიტირებული რჩება სხვა პირობები - გამწვანების, ღობის მოწყობის და ესთეთიკური პირობები.

13. მაკომპენსირებელი ღონისძიება

კოდექსის თანახმად განაშენიანების ინტენსივობის -კ-2 კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება უნდა კომპენსირდებოდეს სხვა ღონისძიებებით.
ინვესტორი კომპანია შპს „ჰოლდინგ“-ი გამოთქვამს მზადყოფნას, რომ მუნიციპალიტეტის მიერ მითითებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე, მუნიციპალიტეტის მიერ მიწოდებული პროექტის შესაბამისად, ააშენოს ორი ერთსართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი, რომელთა საერთო ღირებულება უნდა შეადგენდეს 110 000 ლარს (თითოეული 55 000 ლარი).

14. ეფექტიანობის შეფასება

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მიწის ნაკვეთების შეუსაბამო ობიექტებისაგან გამოთავისუფლებას, ურბანული სივრცის განვითარებას და არაესთეტიკური ამორტიზირებული შენობა-ნაგებობების თანამედროვე არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობით ჩანაცვლებას, საცხოვრებელი ფონდის გაზრდას, მოქალაქეთა ღირსეული საცხოვრებელი გარემოს შექმნას და სოციალური პირობების გაუმჯობესებას, სუსტი ინფრასტრუქტურის მქონე ერთეულების მდგრად ფუნქციურ ერთეულად ჩამოყალიბებას, ეკონომიკის დარგების, მათ შორის სამშენებლო სექტორის განვითარებას.

საკადასტრო ერთეულებზე მრავალბინიანი მრავალსართულიანი სახლის განთავსება არ გამოიწვევს ურბანულ ქსოვილში დისონანსის შეტანას, ჩამოყალიბდება თანამედროვე სტანდარტების შემცველი მდგრადი გეგმარებითი ერთეული, რაც ურბანული თვალსაზრისით გამართლებული და მიზანშეწონილია. გეგმარებით ერთეულზე განახლდება კაპიტალური ფონდი, პროექტის განხორციელებით შეიქმნება დასაქმების ადგილები, როგორც უშუალოდ ობიექტის მშენებლობის დროს ასევე ექსპლუატაციის პერიოდში, აგრეთვე მისი მომსახურების სერვისებში, შესაბამისად თავის წვლილს შეიტანს ეკონომიკის განვითარებაში და ზრდაში.

SWOT ანალიზი:

ძლიერი მხარეები	ზღვის სანაპიროსთან და გამწვანებულ ტერიტორიებთან სიახლოვე, ქალაქის მთავარ ქუჩაზე გასასვლელი და ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა.
სუსტი მხარეები	ტერიტორიებზე ქალაქის ამ ნაწილისათვის შეუსაბამო ობიექტების არსებობა და არასაკმარისი სოციალური ინფრასტრუქტურა
შესაძლებლობები	მიწის ნაკვეთების ათვისების ხარჯზე თანამედროვე არქიტექტურული ღირებულების მქონე შენობების განთავსება, საცხოვრებელი ფონდის გაზრდა, ტერიტორიის მდგრადი განვითარება.
საფრთხეები	არ ფიქსირდება.

ეფექტიანობის შეფასების ეკონომიკური მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში:

სამშენებლო პოტენციალის (კ¹/კ²) ზრდის ხარჯ-სარგებლიანობის საანგარიშო ცხრილი

(ინფორმაცია შეიყვანოთ მხოლოდ ღურჯად მონიშნულ ველებში)

გათვლები ლარში

ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

გათვლების გაკეთების თარიღი	28.03.2023
მისამართი	ქ. ქობულეთი.დავით აღმაშენებლის გამზირის # 836ა.
საკადასტრო კოდ(ებ)ი	20.42.12.355
დეველოპერული კომპანია	შპს „ჰოლდინგ“
საკონტაქტო პირი	ამირან ბალაძე
ტელეფონი	(+995)577 770008

არსებული და მოთხოვნილი პარამეტრები

ფაქტობრივი/დადგენილი პარამეტრები		მოთხოვნილი პარამეტრები	
კ¹	0,5	კ¹	0,5
კ²	1,8	კ²	4,5
კ³	0,3	კ³	0,1

სამშენებლო მოცულობები

მიწის ფართობი		4 435,0		
კ² საანგარიშო ფართი		20 135,0		
კვ.მ. მიწის საშუალო საბაზრო ღირებულება		400,0		
მიწის ზედა სართულიანობა		17	მიწის ზედა სამშენებლო მოცულობა მ3	78 000
მიწის ქვედა სართულიანობა		1	მიწის ქვედა სამშენებლო მოცულობა მ3	10 014,0

მშენებლობის ხარჯი

	ფართობი	1 კვმ ღირებულება დღგ გარეშე ლარში	
მთლიანი სამშენებლო მოცულობა	88 014,0	X	დანაკარგი%
მ.შ. საერთო ფართი (დანაკარგი სადარბაზო, კიბის უჯრედი)	3 700,0	1 170,0	4,2%
მ.შ. საცხოვრებელი ფართი კვმ	18 339,0	1 170,0	
მ.შ. კომერციული ფართი კვმ	785,7	1 380,0	
მ.შ. საოფისე ფართი კვმ	0,0		
მ.შ. დახურული ავტოსადგომები კვმ	3 600,0	1 520,0	
მ.შ. სხვა დანიშნულების ფართი კვმ-რესტორანი	261,4	2 530,0	
სულ მშენებლობის ხარჯი	33 003 238,0		

ვალდებულება (არსებობის შემთხვევაში)

ჯამური ვალდებულება გამოსახული თანხობრივად	**110 000,0**
გთხოვთ აღწეროთ ვალდებულება და თანხის გაანგარიშება:	ორი ეთსართულიანი საცხოვრებელი სახლი

შემოსავლები (სარეალიზაციო ფართზე დაყრდნობით)

	ფართობი	კვ.მ ღირებულება	ჯამური ღირებულ.
საცხოვრებელი ფართი	18 339,0	1 950,0	35 761 050,0
კომერციული ფართი	785,7	2 800,0	2 199 960,0
საოფისე ფართი	0,0		0,0
ავტოსადგომების რაოდენობა*	122	11 000,0	1 342 000,0
სხვა დანიშნულების ფართი	261,4	0,0	0,0
* გთხოვთ დააფიქსიროთ ავტოსადგომების რაოდენობა და თითო ავტოსადგომის სარეალიზაციო ფასი			
მთლიანი მიღებული შემოსავალი	39 303 010,0		

ინფორმაცია პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ

სხვაობა შემოსავალს და ხარჯს შორის	6 189 772,0
დღგ	1 114 159,0
მოგების გადასახადი	761 342,0
კ2 გადასახადი და მშენებლობის ნებართვა	55 000,0
დივიდენდი	212 963,6
მოგება გადასახადების შემდეგ	4 046 307,5

15. ზეგავლენები

15.1. ზეგავლენა გარემოზე (გარემოსდაცვითი ანგარიშის რეზიუმე)

საპროექტო ტერიტორიაზე არ არის დაგეგმილი, ჰაერის, წყლის და ნიადაგის დამაბინძურებელი მასშტაბური ობიექტების/წყაროების განთავსება და შესაბამისად დაგეგმილი სამუშაოები არ მოახდენს უარყოფით გავლენას გარემოზე. ამასთან, მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება მოკლე ვადიანი (მშენებლობის პერიოდი).

საკვლევი ტერიტორია წლების განმავლობაში ანთროპოგენური ზემოქმედების ქვეშაა მოქცეული და ნიადაგის ნაყოფიერ ფენას საპროექტო ტერიტორიზე მცირე ნაწილი უკავია, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება. საპროექტო ტერიტორიაზე ბუნებრივი მემკვიდრეობის (მათ შორის მოქმედი და გეგმარებითი), დაცული ტერიტორიები და ბუნების ძეგლები/ბუნებრივი ობიექტები (ჭაობი, ტორფნარი, დიუნი და მსგ.) არ გვხვდება. გეგმარებით ერთეული არაა განთავსებული ჭარბტენიან ტერიტორიაზე;
პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელებისას გარემოს რეცეპტორებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება;
სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს წარმოშობილი ზედმეტი გრუნტი და სამშენებლო ნარჩენები გატანილ იქნება შესაბამისი სამსახურების მიერ მითითებულ ტერიტორიაზე. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებას და მუნიციპალურ ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირებას შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს. აღნიშნული ღონისძიებების გათვალისწინებით, ნარჩენების წარმოქმნით გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება. საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილია ქალაქ ქობულეთის საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემები. საპროექტო შენობის მშენებლობის დასრულების შემდგომ, საპროექტო ინფრასტრუქტურის წყალმომარაგების და წყალარინების სისტემები ასევე დაერთებული იქნება ქალაქის ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელს. შესაბამისად ფუნქციონირების ეტაპზე ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა. შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებითა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის შემთხვევაში ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.
ქალაქ ქობულეთის განაშენიანების გეგმის მოთხოვნები.

2.9. დაგეგმვის გუნდი და კვალიფიკაცია

პერსონალი	სახელი, გვარი, პროფესია	პოზიცია	კვალიფიკაცია/კომპეტენცია და გამოცდილება	რეფერენსი
პროექტის მართვის სპეციალისტი	სულხან მამუჭაძე - არქიტექტორი, იურისტი	საერთო ხელმძღვანელი / კოორდინატორი	• *მაგისტრის ხარისხი მიზნეს ადმინისტრირების / პროექტების მართვის განხრით;* • *3-წლიანი გამოცდილება დაგეგმვის პროექტების მართვაში.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
სივრცითი დაგეგმვის სპეციალისტი / მიწათსარგებლობის დაგეგმვის სპეციალისტი	ზვიად ბურჭულაძე-არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი;	დაგეგმვის ხელმძღვანელი	• *მაგისტრის ხარისხი დაგეგმვის განხრით.* • *3-წლიანი გამოცდილებით დაგეგმვაში.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
ქალაქმგეგმარებელი / ურბანისტი	ზვიად ბურჭულაძე-არქიტექტორი, არქიტექტურის აკადემიური დოქტორი;	დაგეგმარების ხელმძღვანელი	• *მაგისტრის ხარისხი დაგეგმვის განხრით.* • *3-წლიანი პროფესიული გამოცდილება დაგეგმარებაში.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
სოციოლოგი	ლაშა მიქელაძე - სოციოლოგი	წამყვანი სპეციალისტი	• *მაგისტრის ხარისხი სოციოლოგიის განხრით;* • *2-წლიანი პროფესიული გამოცდილება.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
საინჟინრო ინფრასტრუქტურის სპეციალისტი	ირაკლი ბურჭულაძე - ინჟინერ-ეკონომისტი, ნავთობისა და გაზის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო განხრით სპეციალისტი; სერგო ჭყონია- ფიზიკა ინფორმატიკა გამოთვლითი ტექნიკა სპეციალისტი, გეოსაინფორმაციო სისტემის, წყალმომარაგების ქსელის, მაღალტექნოლოგიურ სხვადასხვა გამზომი მოწყობილობებით მონაცემების მართვისა და ანალიტიკის სპეციალისტი;	წამყვანი სპეციალისტი	• *ბაკალავრის ხარისხი სამოქალაქო ან საინჟინრო ინფრასტრუქტურის განხრით და/ან ექსპერტული ცოდნის მქონე ინფრასტრუქტურულ ინჟინერიაში.* • *2-წლიანი გამოცდილება დასახლებებში საინჟინრო ინფრასტრუქტურის დაპროექტებაში.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.

	ტარიელ გოგიჩაიშვილი - ინჟინერ-ელექტრიკოსი			
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სპეციალისტი	ბიძინა ბიბილეიშვილი - ავტომობილების და საავტომობილო მეურნეობის ინჟინერი	წამყვანი სპეციალისტი	• *ბაკალავრის ხარისხი სატრანსპორტო დაგეგმვაში ან სატრანსპორტო ინჟინერიაში, საგზაო მოძრაობის ან ტრანსპორტის მართვის მიმართულებით.* • *2-წლიანი გამოცდილებით დასახლებებში საგზაო მოძრაობის (რე)ორგანიზების სქემის შემუშავებაში.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
ეკოლოგიის სპეციალისტი/ ეკოსისტემების მართვის სპეციალისტი	ლევან ზაზაძე - ეკოლოგიის და გარემოს დაცვის დოქტორი	წამყვანი სპეციალისტი	• *ბაკალავრის ხარისხი ეკოლოგიაში ან ეკოსისტემების მართვაში, ან გარემოს დაცვის საკითხებში;* • *2-წლიანი გამოცდილება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებების (სგშ) და/ან გარემოზე ზემოქმედების შეფასებების (გზშ) წარმოებაში.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
გეო-ინფორმაციული სისტემების (GIS) სპეციალისტი	სერგო ჭყონია- ფიზიკა ინფორმატიკა გამოთვლითი ტექნიკა სპეციალისტი, გეოსაინფორმაციო სისტემის, წყალმომარაგების ქსელის, მაღალტექნოლოგიურ სხვადასხვა გამზომი მოწყობილობებით მონაცემების მართვისა და ანალიტიკის სპეციალისტი;	წამყვანი სპეციალისტი	• *ეროვნულ დონეზე აღიარებული შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე და/ან ექსპერტული ცოდნის მქონე გის სპეციალისტი;* • *GIS პროგრამული უზრუნველყოფის (§**Error! Reference source not found.**) სრულყოფილი ცოდნა.* • *2-წლიანი პროფესიული გამოცდილება.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
არქიტექტორი	თემურ გიორგაძე -არქიტექტორი	სპეციალისტი	• *ბაკალავრის ხარისხი არქიტექტურაში.* • *ავტომატიზებული დაპროექტების სისტემის (CAD) და კომპიუტერული მოდელირების შესაბამისი პროგრამების სრულყოფილი ცოდნა.* • *2-წლიანი პროფესიული გამოცდილება.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
კარტოგრაფი	გიორგი წაქაძე - ტოპოგრაფ-გეოდეზისტი	სპეციალისტი	• *ბაკალავრის ხარისხი კარტოგრაფიაში და/ან გეოგრაფიაში.* • *2-წლიანი პროფესიული გამოცდილება.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
ტოპოგრაფი / გეოდეზისტი	გიორგი წაქაძე - ტოპოგრაფ-გეოდეზისტი	სპეციალისტი	• *ბაკალავრის ხარისხი გეოდეზიაში და/ან ექსპერტული ცოდნის მქონე ტოპოგრაფიაში.* • *ავტომატიზებული დაპროექტების სისტემის (CAD) და კომპიუტერული მოდელირების შესაბამისი პროგრამების სრულყოფილი ცოდნა.* • *2-წლიანი პროფესიული გამოცდილება ტოპოგრაფიული რუკების/გეგმების შედგენაში.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.
რედაქტორი	მაია მოწყობილი - მთარგმნელ-რეფერენდი, პედაგოგი	სპეციალისტი	• *ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, ინგლისურ ენაში, კომუნიკაციებში ან ჟურნალისტიკაში.* • *1-წლიანი პროფესიული გამოცდილება.*	კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი იხ. დანართში.

2.10. გამოყენებული დოკუმენტები

ნორმატიული	შინაარსი	წყარო
კონსტიტუციური კანონი	საქართველოს კონსტიტუცია	
ორგანული კანონი	ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი	
კანონი	**საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი**	
კანონი	გარემოს დაცვის შესახებ	
კანონი	კულტურული მემკვიდრეობის შესახებ	
კანონი	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	
კანონი	წყლის შესახებ	
კანონი	ტყის კოდექსი	
კანონი	საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ	
კანონი	საზღვაო კოდექსი	
კანონი	დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ	
კანონი	საავტომობილო გზების შესახებ	
კანონი	საგზაო მოძრაობის შესახებ	
კანონი	საქართველოს სარკინიგზო კოდექსი	
კანონი	სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ	
კანონი	ტურიზმისა და კურორტების შესახებ	
კანონი	კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ	
კანონი	ნარჩენების მართვის კოდექსი	
კანონი	გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ	
კანონი	სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ	
პრეზიდენტის ბრძანებულება	საქართველოში სახელმწიფო გეოდეზიურ კოორდინატორთა სისტემის შესახებ	
მთავრობის დადგენილება	საქართველოს კურორტების ნუსხა და სტატუსი	
მთავრობის დადგენილება	ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების ძირითადი დებულებების შესახებ	
მთავრობის დადგენილება	სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ	
მთავრობის დადგენილება	ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესი და მათი დაცვის ზონები	
მთავრობის დადგენილება	მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონები	
მთავრობის დადგენილება	საქართველოს ზედაპირული წყლების დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ	
მთავრობის დადგენილება	საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ	
მთავრობის დადგენილება	წყალდაცვითი ზოლის შესახებ	
მთავრობის დადგენილება	ტექნიკური რეგლამენტი — სამშენებლო კლიმატოლოგია	
მთავრობის დადგენილება	ტექნიკური რეგლამენტი — სეისმომედეგი მშენებლობა	

3. დანართები

ქ. ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირის 836ა -ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით ინსოლაციის პროექტი

ხელმძღვანელი,
არქიტ-ის დოქტორი
პროფესორი ლ. ბერიძე

შეასრულა:
არქიტ-ის დოქტორი
ასოცირებული პროფესორი გ. ბერიძე

თბილისი, 2023 წელი

განმარტებითი ბარათი

ობიექტი მდებარეობს ქ. ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირის 836ა-ში, სადაც დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა (ნახ. იგ-1).

დამკვეთის მოთხოვნით წინამდებარე სამუშაოს მიზანია დადგინდეს, თუ რა ზეგავლენას მოახდენს ეს მშენებლობა არსებული შენობების ინსოლაციის პირობებზე.

წინამდებარე ნაშრომი პასუხობს ქ. ბათუმის მერიის მოთხოვნას წარმოდგენილ იქნეს **ინსოლაციის პროექტი**.

მერიის მოთხოვნა ეფუძნება შემდეგ საკანონმდებლო და ნორმატიულ დოკუმენტებს:

- „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“.
  - ✓ მუხლი 83. შენობა-ნაგებობა ისე უნდა იქნეს დაპროექტებული და აშენებული, რომ მისი ექსპლუატაციის პერიოდში დაცულ იქნეს შენობა-ნაგებობების მიმართ ინსოლაციის მოთხოვნები;
- „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის 261 დადგენილება).
  - ✓ თავი V, მუხლი 33,

პ.2. განაშენიანების პარამეტრების დადგენა ხორციელდება ზღვრული მაჩვენებლების სახით, შესაბამისი ტერიტორიის ამტანიანობის, თავისებურების პირობების, ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის პირობების გათვალისწინებით.

ინსოლაციის პროექტი არ საზღვრავს საპროექტო ობიექტის ქალაქგეგმარებითი და სივრცით–მოცულობითი გადაწყვეტის მართლზომიერებას, რაც არქიტექტურული / ქალაქგეგმარებითი პროექტის ავტორების პრეროგატივაა. იგი მხოლოდ ამოწმებს პროექტის შესაბამისობას ინსოლაციის ნორმებთან და, დარღვევის შემთხვევაში, იძლევა

რეკომენდაციას პროექტის კორექტირებაზე მისი ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ინსოლაციის პროექტის შესადგენად დამკვეთის მიერ წარმოდგენილი იქნა გენგეგმა ნიშნულებით, დასაპროექტებელი შენობების მოცულობების და ირგვლივ მდებარე განაშენიანების დატანით, აგრეთვე არსებული მდგომარეობის ვიზუალური მასალა ფოტოსურათების სახით. ინსოლაციის გაანგარიშება შესრულებული იქნა ამ მასალაზე დაყრდნობით.

საპროექტო ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს დატერასებული ტიპის შენობა, რომლის ზედა ტერასის ნიშნული მიწის ნიშნულიდან 60,5 მეტრის სიმაღლეზეა.

ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის პირობების დადგენა მდგომარეობს საანგარიშო სქემა-გენგეგმის შედგენაში (ნახ. იგ-2), ტერიტორიის დაჩრდილვის დღიური და საათობრივი სქემების აგებაში, დაჩრდილულ შენობებზე საანგარიშო წერტილების შერჩევაში, მათ მიმართ დაჩრდილვის კონტურის აგებაში, ინსოლაციის საანგარიშო კოეფიციენტების გაანგარიშებაში და მიღებული შედეგების ნორმირებულ მაჩვენებლებთან შედარებაში.

ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად, აგებულ იქნა საპროექტო შენობის მიერ ტერიტორიის დღიური (ნახ. ი-3) და საათობრივი (ნახ. ნახ. ი3-ი14) დაჩრდილვის სქემა (ნორმატიული მარტი-სექტემბრის პერიოდისთვის), რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, თუ საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიების რა ნაწილი, რომელ საათზე იჩრდილება.

იმ ტერიტორიის მეზობლად, სადაც გათვალისწინებულია საპროექტო ობიექტის მშენებლობა, ამჟამად განლაგებულია (სამხრეთის და აღმოსავლეთის მხრიდან) დაბალსართულიანი განაშენიანება.

საანგარიშო სქემა-გენგეგმაზე (ნახ. ი-2) დატანილია ეს სახლები.

ჩატარებული კვლევის და ანგარიშების შედეგად გამოვლინდა შემდეგი სურათი:

მეზობლად მდებარე სახლების ინსოლაციაზე, მათი ტერიტორიაზე განლაგების და ორიენტაციის გამო, დაგეგმილი მშენებლობა გავლენას არ მოახდენს.

დაჩრდილვის სურათზე დაყრდნობით ჩატარებული კვლევის გარდა, საანგარიშო სქემა-გენგეგმაზე (ნახ. იგ-2) საპროექტო შენობის მეზობლად, ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან მდებარე სახლებზე, შერჩეულ იქნა საანგარიშო საკონტროლო წერტილები (ფ1, ფ2 და ფ-3) და შესრულდა ინსოლაციის ანგარიში.

ანგარიშის შედეგად გამოვლინდა, რომ ინსოლაციის დონე ნორმატიული პარამეტრების ფარგლებშია. ინსოლაციის ანგარიში შესრულებულია პროფ. ლევან ბერიძის ვიზუალურ-სივრცითი მეთოდით და წარმოდგენილია ნახაზებზე ი-15, ი-16, ი-17.

რაც შეეხება ბუნებრივ განათებულობას საპროექტო შენობა, არსებული შენობების ტერიტორიაზე განლაგების და ორიენტაციის გამო, არ შეცვლის არსებულ განაშენიანებაში ჩამოყალიბებულ განათებულობის რეჟიმს.

დასკვნა: ჩატარებული კვლევის და ანგარიშების შედეგად დადგინდა, რომ ქ. ქობულეთში (დ.აღმაშენებლის გამზირი №836ა) დაგეგმილი მშენებლობა, არქიტექტურული პროექტით წარმოდგენილი მოცულობითი პარამეტრებით, აკმყოფილებს მეზობლად არსებული შენობების ინსოლაციისა და ბუნებრივი განათებულობის ნორმატიულ პირობებს.

ექსპლიკაცია

პირობითი აღნიშვნები

პროექტი:

მისამართი:

სათაური: სიტუაციური სქემა

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პროექტის ხელმძღვანელი	ლ. ბერიძე	
დაამუშავა	გ. ბერიძე	
დაამუშავა		

მასშტაბი 1:2000	სტადია	
ფურცელი ი-1	ფორმატი	A-3

შენიშვნა:

ექსპლიკაცია

დაპროექტებული შენობა

არსებული განაშენიანება

პირობითი აღნიშვნები

ინსოლაციის საანგარიშო წერტილები

პროექტი:

მისამართი:

სათაური: საანგარიშო სქემა გენგეგმა

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პროექტის ხელმძღვანელი	ლ. ბერიძე	
დაამუშავა	გ. ბერიძე	
დაამუშავა		

მასშტაბი	1:1000	სტადია	
ფურცელი	ი-2	ფორმატი	A-3

შენიშვნა:

ექსპლიკაცია

- დაპროექტებული შენობა
- არსებული განაშენიანება

პირობითი აღნიშვნები

ჩრდილის კონტურები

- 7⁰⁰ - 17⁰⁰ სთ.
- 8⁰⁰ - 16⁰⁰ სთ.
- 9⁰⁰ - 15⁰⁰ სთ.
- 10⁰⁰ - 14⁰⁰ სთ.
- 11⁰⁰ - 13⁰⁰ სთ.
- 12⁰⁰ სთ.

პროექტი:

მისამართი:

სათაური: ტერიტორიის დაჩრდილვის სქემა (მარტი-სექტემბერი)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პროექტის ხელმძღვანელი	ლ. ბერიძე	
დაამუშავა	გ. ბერიძე	
დაამუშავა		

მასშტაბი	1:1000	სტადია	
ფურცელი	ი-3	ფორმატი	A-3

შენიშვნა:

ექსპლიკაცია

დაპროექტებული შენობა

არსებული განაშენიანება

პირობითი აღნიშვნები

ჩრდილის კონტური

7.00 სთ.

პროექტი:

მისამართი:

სათაური: ტერიტორიის დაჩრდილვის სქემა (მარტი-სექტემბერი)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პროექტის ხელმძღვანელი	ლ. ბერიძე	
დაამუშავა	გ. ბერიძე	
დაამუშავა		

მასშტაბი	1:1000	სტადია	
ფურცელი	ი-4	ფორმატი	A-3

შენიშვნა:



ექსპლიკაცია

დაპროექტებული შენობა

არსებული განაშენიანება

პირობითი აღნიშვნები

ჩრდილის კონტური

8.00 სთ.

პროექტი:

მისამართი:

სათაური: ტერიტორიის დაჩრდილვის სქემა (მარტი-სექტემბერი)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პროექტის ხელმძღვანელი	ლ. ბერიძე	
დაამუშავა	გ. ბერიძე	
დაამუშავა		

მასშტაბი	1:1000	სტადია	
ფურცელი	1-5	ფორმატი	A-3

შენიშვნა:



ექსპლიკაცია

დაპროექტებული შენობა

არსებული განაშენიანება

პირობითი აღნიშვნები

ჩრდილის კონტური

9⁰⁰ სთ.

პროექტი:

მისამართი:

სათაური: ტერიტორიის დაჩრდილვის სქემა (მარტი-სექტემბერი)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პროექტის ხელმძღვანელი	ლ. ბერიძე	
დაამუშავა	გ. ბერიძე	
დაამუშავა		

მასშტაბი	1:1000	სტადია	
ფურცელი	ი-6	ფორმატი	A-3

შენიშვნა:

ექსპლიკაცია

დაპროექტებული შენობა

არსებული განაშენიანება

პირობითი აღნიშვნები

ჩრდილის კონტური

10⁰⁰ სთ.

პროექტი:

მისამართი:

სათაური: ტერიტორიის დაჩრდილვის სქემა (მარტი-სექტემბერი)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პროექტის ხელმძღვანელი	ლ. ბერიძე	
დაამუშავა	გ. ბერიძე	
დაამუშავა		

მასშტაბი	1:1000	სტადია	
ფურცელი	ი-7	ფორმატი	A-3

შენიშვნა:



ექსპლიკაცია

დაპროექტებული შენობა

არსებული განაშენიანება

პირობითი აღნიშვნები

ჩრდილის კონტური

11 00 სთ.

პროექტი:

მისამართი:

სათაური: ტერიტორიის დაჩრდილვის სქემა (მარტი-სექტემბერი)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პროექტის ხელმძღვანელი	ლ. ბერიძე	
დაამუშავა	გ. ბერიძე	
დაამუშავა		

მასშტაბი	1:1000	სტადია	
ფურცელი	8-ი	ფორმატი	A-3

შენიშვნა:



ექსპლიკაცია

დაპროექტებული შენობა

არსებული განაშენიანება

პირობითი აღნიშვნები

ჩრდილის კონტური

1200 სთ.

პროექტი:

მისამართი:

სათაური: ტერიტორიის დაჩრდილვის სქემა (მარტი-სექტემბერი)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პროექტის ხელმძღვანელი	ლ. ბერიძე	
დაამუშავა	გ. ბერიძე	
დაამუშავა		

მასშტაბი	1:1000	სტადია	
ფურცელი	9-9	ფორმატი	A-3

შენიშვნა:



ექსპლიკაცია

დაპროექტებული შენობა

არსებული განაშენიანება

პირობითი აღნიშვნები

ჩრდილის კონტური

13.00 სთ.

პროექტი:

მისამართი:

სათაური: ტერიტორიის დაჩრდილვის სქემა (მარტი-სექტემბერი)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პროექტის ხელმძღვანელი	ლ. ბერიძე	
დაამუშავა	გ. ბერიძე	
დაამუშავა		

მასშტაბი	1:1000	სტადია	
ფურცელი	ი-10	ფორმატი	A-3

შენიშვნა:



ექსპლიკაცია

დაპროექტებული შენობა

არსებული განაშენიანება

პირობითი აღნიშვნები

ჩრდილის კონტური

14 00 სთ.

პროექტი:

მისამართი:

სათაური: ტერიტორიის დაჩრდილვის სქემა (მარტი-სექტემბერი)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პროექტის ხელმძღვანელი	ლ. ბერიძე	
დაამუშავა	გ. ბერიძე	
დაამუშავა		

მასშტაბი	1:1000	სტადია	
ფურცელი	ი-11	ფორმატი	A-3

შენიშვნა:



ექსპლიკაცია

დაპროექტებული შენობა

არსებული განაშენიანება

პირობითი აღნიშვნები

ჩრდილის კონტური

15⁰⁰ სმ.

პროექტი:

მისამართი:

სათაური: ტერიტორიის დაჩრდილვის სქემა (მარტი-სექტემბერი)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პროექტის ხელმძღვანელი	ლ. ბერიძე	
დაამუშავა	გ. ბერიძე	
დაამუშავა		

მასშტაბი	1:1000	სტადია	
ფურცელი	ი-12	ფორმატი	A-3

შენიშვნა:



ექსპლიკაცია

დაპროექტებული შენობა

არსებული განაშენიანება

პირობითი აღნიშვნები

ჩრდილის კონტური

16 00 სთ.

პროექტი:

მისამართი:

სათაური: ტერიტორიის დაჩრდილვის სქემა (მარტი-სექტემბერი)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პროექტის ხელმძღვანელი	ლ. ბერიძე	
დაამუშავა	გ. ბერიძე	
დაამუშავა		

მასშტაბი	1:1000	სტადია	
ფურცელი	ი-13	ფორმატი	A-3

შენიშვნა:



ექსპლიკაცია

დაპროექტებული შენობა

არსებული განაშენიანება

პირობითი აღნიშვნები

ჩრდილის კონტური

17 00 სთ.

პროექტი:

მისამართი:

სათაური: ტერიტორიის დაჩრდილვის სქემა (მარტი-სექტემბერი)

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
პროექტის ხელმძღვანელი	ლ. ბერიძე	
დაამუშავა	გ. ბერიძე	
დაამუშავა		

მასშტაბი	1:1000	სტადია	
ფურცელი	ი-14	ფორმატი	A-3

შენიშვნა:



ნ ზ ე ზ ი ჯ ე ზ ნ ნ ზ ნ ნ ზ ნ ნ ნ

ი ნ ს ო ლ ა ც ი ი ს გ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ა

(ვიზუალურ - სივრცითი მეთოდი)

ხედი ფანჯრიდან – ფ-2



დაპროექტებული შენობა

არსებული განაშენიანება

A_h=86°

i_n=0,39

$i_s = \frac{I_p}{I_{max}}$

I_p=525°

I_{max}=900°

$i_s = \frac{525}{900} = 0{,}58$

i_s=0,58 > i_n=0,39



53

ς ϱ ϛ ϐ ο ϭ ς ϱ ϑ ϛ ς ς ϑ ς ϭ ο ϡ ϛ ϖ ω ι ϛ ϑ ο ο ι ϑ ς ϭ ϑ ϛ ϱ ο

(ο϶ωωοϑϐ ϭϭοωϑϭϬϭο - ϡϑϖϡϛϑϱϬϑ)

ϑ-ϛ – ϡς϶ϭο϶ϡϛϑ ϭ϶ϑϱϤ ϑϭϬϱϤ

შპს „ჰოლდინგ“

ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირის N836ა/ დავით აღმაშენებლის გამზირის შესახვევი II-ის №7-ში და დავით აღმაშენებლის გამზირის შესახვევი II-ის №7-ში მდებარე უძრავი ნივთების -ში მდებარე მიწის ნაკვეთების

(ს/კ 20.42.12.305; 20.42.12.317; 20.42.12.339)

სამშენებლოდ განვითარების მიზნით

განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავება

გეგმარებითი ერთეულის ეკოლოგიური მდგომარეობის კვლევა

ქობულეთი, 2023

სარჩევი

1 შესავალი 3

2 ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოს ფონურ მდგომარეობაზე 7

2.1 კლიმატური პირობები 7

2.2 ზოგადი გეოლოგიური პირობები 11

2.2.1 გეგმარებითი ობიექტის საინჟინრო გეოლოგიური პირობები 11

2.3 ნაპირდაცვა 13

2.4 დაცული ტერიტორიები 14

3 გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები 16

3.1 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები და ხმაურის გავრცელება 17

3.2 ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება 18

3.3 ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება 18

3.4 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება 19

3.5 ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედება 19

3.6 სოციალურ გარემოზე ზემოქმედება 20

3.7 ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზემოქმედება 20

4 უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები 20

5 დასკვნა 23

1 შესავალი

გეგმარებითი ერთეული მდებარეობს ქალაქ ქობულეთში, მოქცეულია დ. აღმაშენებლის გამზირსა და დ. აღმაშენებლის II შესახვევს შორის და მოიცავს 9 მიწის ნაკვეთს (მათ შორის ერთი დაურეგისტრირებელი), საკადასტრო კოდებით 20.42.12.305, 20.42.12.317, 20.42.12.339, 20.42.02.223, 20.42.02.683, 20.42.02.831, 20.42.12.010, 20.42.12.338, საერთო ფართობით 8833,00 კვ.მ. გეგმარებითი ერთეულის ფართობი შეადგენს 11300 კვ.მ-ს.

ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის გამზირის №836ა / დავით აღმაშენებლის გამზირის შესახვევი II-ის №7-ში და დავით აღმაშენებლის გამზირის შესახვევი II-ის №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ს/კ. 20.42.12.305; 20.42.12.317; 20.42.12.339 დაგეგმილია მოეწყოს სრულყოფილი ინფრასტრუქტურის მქონე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

საპროექტო მიწის ნაკვეთები			
საკადასტრო კოდი		ფართობი კვ.მ.	მისამართი
1	**2**	**3**	
1	20.42.12.305	4093.00	დ. აღმაშენებლის გამზირის №836ა / დ. აღმაშენებლის გამზირის შესახვევი II-ის №7
2	20.42.12.317	142.00	დ. აღმაშენებლის გამზირის შესახვევი II-ის №7
3	20.42.12.339	200.00	დ. აღმაშენებლის გამზირის შესახვევი II-ის №7
	ჯამი	**4435. 00**	

ილუსტრაცია 1. საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური გეგმა

პროექტი ითვალისწინებს 311 ბინიანი 17 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. მიწისქვეშა სართულში განთავსებული იქნება მიწისქვეშა ავტოპარკინგი. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული განაშენიანების რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას (სზ-3). 2019 წლის 3 ივნისის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ საქართველოს მთავრობის №261 დადგენილებისა და ქალაქ ქობულეთის განაშენიანების გეგმის შესაბამისად საშუალო ინტენსივობის საცხოვრებელ ზონის (სზ3 დადგენილი კოეფიციენტებია:

- კ-1= 0,5
- კ-2= 1,8
- კ-3= 0,3

გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების დეტალური გეგმით მოთხოვნილი საპროექტო პარამეტრების მიხედვით, დაგეგმილია კ-2 კოეფიციენტის გაზრდა 4.5-მდე.

ილუსტრაცია 2 საპროექტო ტერიტორიის ტოპო გეგმა



ილუსტრაცია 3 საპროექტო ტერიტორიის ხედები



ილუსტრაცია 4 გეგმარებითი ობიექტის რენდერი

2 ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ადგილის გარემოს ფონურ მდგომარეობაზე

2.1 კლიმატური პირობები

ქ. ქობულეთი წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს და იგი მდებარეობს ქ. ბათუმიდან 25 კმ-ის დაშორებით, კოლხეთის დაბლობის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ განშტოებაზე - ქობულეთის დაბლობზე. იგი გაშენებულია აკუმულაციურ ალუვიურ ვაკეზე, ზღვის დონიდან 3-5 მეტრის სიმაღლეზე.

ქ. ქობულეთი მდებარეობს ქვეზონაში, რომელიც გამოირჩევა მაღალი სინოტივითა და ზღვის ქარებით მთელი წლის განმავლობაში, უხვი წვიმებით შემოდგომასა და ზამთარში; შესაბამისად ხასიათდება ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის +14,5^{0}C–ს; იანვარში +5.80C, აგვისტოში +23.00C; აბსოლუტური მინიმუმი - 9^{0}C; აბსოლუტური მაქსიმუმი + 41^{0}C. ნალექების წლიური რაოდენობა მაღალია -2352 მმ, მაგრამ იმის გამო, რომ უფრო ხშირად მათ აქვთ ხანმოკლე ხასიათი (ე.წ. „ტროპიკული თავსხმა“) და ტერიტორიის გეოლოგიური თავისებურების გამო (ის ძირითადად წარმოადგენს წყალგამტარ სუბსტრატს), წვიმები ნაკლებ გავლენას ახდენს ჰაერის სინოტივის ცვალებადობაზე.

ზოგადად, ქობულეთისთვის დამახასიათებელია მაღალი სინოტივე, რომელიც თავის მაქსიმუმს აღწევს გაზაფხულზე (75%), ხოლო ზამთარში - 70%. მაგრამ, ბათუმთან შედარებით, კონტინენტის უშუალო გავლენის გამო, ქობულეთამდე აღწევს მშრალი ფენები, შედეგად, ჰაერის ფარდობითი ტენიანობა ეცემა 40-50%-მდე. ზღვის წყლის

ტემპერატურა მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით აღემატება 15^{0}C; ივნისში ის აღწევს 20,7^{0}C, ივლისში -24,1^{0}C, აგვისტოში - 24,4^{0}C, სექტემბერში - 22,0^{0}C, ოქტომბერში 18,3^{0}C.

ქობულეთი ხასიათდება მაღალი რადიაციული დასხივებით. დილის პირდაპირი რადიაციის დონე აღწევს 0,35 მ. კალ., საღამოსი - 0,60-0,80 მ. კალ. განსაკუთრებით მაღალია ულტრაიისფერი რადიაცია, რასაც ფაქტორების მთელი რიგი ადასტურებს - სწრაფი გარუჯვა, მზის სამკურნალო მოქმედება და ა.შ. მზის ნათების ხანგრძლივობის წლიური ჯამი ქობულეთში შეადგენს 2 100 საათს, რითაც ის გამოირჩევა აჭარის კურორტებს შორის. დასავლეთიდან მიმდებარე გაშლილი ხმელეთი არ აბრკოლებს აღმოსავლეთის (დილის) მზის მოქმედებას ქობულეთის ტერიტორიაზე და თავისუფლად ატარებს ნოტიო ჰაერის მასებს ხმელეთის სიღრმეში და არ ახდენს მათ კონდენსაციას, როგორც ეს, მაგალითად, ბათუმში ხდება.

ქარის საშუალო სიჩქარე ქობულეთში შეადგენს 2/3 მ/წმ; დღის საათებში ეს სიჩქარე მეტია, ვიდრე ღამე; ზღვის ბრიზის გაძლიერება შეიმჩნევა შუადღეს. საერთოდ, ზღვის ბრიზის მოქმედება შეიმჩნევა თითქმის მთელი დღეღამის განმავლობაში. ამასთან, ალიონზე ხშირია შტილი, ან თითქმის შეუმჩნეველი ნიავით მატერიკის მხრიდან, რაც აგრეთვე აძნელებს ზაფხულის სიცხეს.

ქ. ქობულეთისთვის დამახასიათებელი კლიმატური პირობები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილებსა და დიაგრამებზე (ქ. ქობულეთის მეტეოსადგურის მონაცემებით). (წყარო: სნ წ „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (პნ 01. 05-08)).

ცხრილი 1 ცხრილი ჰაერის ტემპერატურა

პუნქტის დასახელება	გარე ჰაერის ტემპერატურა, ^{0}C																		პერიოდი <8^{0}C საშუალო თვიური ტემპერატურით		საშუალო ტემპერატურა 13 საათზე	
	თვის საშუალო												წლის საშუალო	აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშუალო მაქსიმუმი	ყველაზე ცივი ხუთდღიური საშუალო	ყველაზე ცივი დღის საშუალო	ყველაზე ცივი პერიოდის საშუალო				
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი								ხანგრძლივობა დღეებში	საშუალო ტემპერატურა	ყველაზე ცივი თვისათვის	ყველაზე ცხელი თვისათვის
ქობულეთი	4,8	5,5	7,6	10,9	15,4	19,5	22,4	22,6	19,5	15,4	10,7	6,7	13,4	-16	41	26,6	-3	-6	4,6	109	5,8	7,5	25,1

ცხრილი 2 ცხრილი ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა

პუნქტბის დასახე-ლება	თვის საშუალო, ^{0}C												თვის მაქსიმალური, ^{0}C											
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ქობულეთი	8,3	9,0	8,7	9,0	8,6	8,5	7,5	8,0	9,0	10,2	9,8	9,5	17,0	17,8	17,5	17,8	17,0	16,7	19,0	16,6	17,7	21,1	20,0	19,5

ცხრილი 3 ცხრილი ჰაერის ფარდობითი ტენიანობა

პუნქტების დასახელება	გარე ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %													საშ. ფარდ. ტენიანობა 13 საათზე		ფარდ. ტენიანობის საშ. დღეღამური ამპლიტუდა	
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	წლის საშუალო	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის	ყველაზე ცივი თვის	ყველაზე ცხელი თვის
ქობულეთი	80	80	79	80	82	80	80	82	84	84	82	80	81	69	71	16	21

ცხრილი 4 ცხრილი ნალექების რაოდენობა

პუნქტების დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღეღამური მაქსიმუმი, მმ
ქობულეთი	2352	240

ცხრილი 5 ცხრილი თოვლის საფარი

პუნქტების დასახელება	თოვლის საფარის წონა, კპა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
ქობულეთი	0,50	7	-

ცხრილი 6 ცხრილი ქარის მახასიათებლები

პუნქტების დასახელე-	ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1,5,10,15,20 წელიწადში ერთხელ, მ/წმ					ქარის მიმართულების განმეორებადობა (%) იანვარი, ივლისი								ქარის საშუალო, უდიდესი და უმცირესი სიჩქარე, მ/წმ		ქარის მიმართულებისა და შტილის განმეორებადობა (%) წელიწადში								
	1	5	10	15	20	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	იანვარი	ივლისი	ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტილი
ქობულეთი	18	22	24	25	26	2/3	36/8	15/11	8/10	7/9	23/40	5/17	4/2	4,4/1,5	5,1/1,7	2	23	13	8	7	30	11	6	20

2.2 ზოგადი გეოლოგიური პირობები

ქ. ქობულეთის ტერიტორია მიეკუთვნება საქართველოს ბელტის დასავლეთის დაძირვის ოლქს. ტერიტორია ძირითადად აგებულია თანამედროვე (Q4) - ახალშავზღვიური, ძველშავზღვიური (ჰოლოცენი) და ზედა მეოთხეული Q3 – ახალ ევქსინური პლიაჟური და დელტური ფხვიერი მეოთხეული დანალექებით. აღნიშნულ რეგიონში ნალექების დაგროვება დაკავშირებულ იყო ტრანსგრესიებსა და რეგრესიებზე. დაახლოებით 30 მ-დან 100 მ-დე ნალექების დაგროვება უკავშირდება ახალევქსინურ რეგრესიას, ხოლო უფრო ახალგაზრდა (15მ-დან-30მ-დე) ნალექების დაგროვება დაკავშირებულია პონტურ და კოლხურ რეგრესიებთან, რაც შეეხება სულ ზედა ფენას 15 მ სიღრმემდე ნალექების დაგროვება დაკავშირებულია ლაზურ ტრანსგრესიასთან.

ქობულეთის ვაკე-დაბლობი სამხრეთიდან ისაზღვრება ციხისძირის ვულკანოგენური ქანებით აგებული ჭიუხით, ხოლო ჩრდილოეთიდან მდ. ნატანებით და წარმოადგენს უახლოეს ეპოქაში გაღუნულ ბლოკს, რომელიც ამჟამად განიცდის დაძირვას 2 მმ-მდე წელიწადში. თავის მხრივ კოლხეთის დაბლობის არეალში მორფოლოგიურად გამოიყოფა ლაგუნა-ჭაობის ზონა, ვიწრო შელფი და ძველი სანაპირო ზვინული, რომელიც წარმოადგენს ფანაგორიის (ეგრისული ფაზა) რეგრესიის რელიქტს და გრძელდება ნაპირის გასწვრივ 10კმ-ზე.

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, ქალაქ ქობულეთის ტერიტორია განთავსებულია კოლხეთის დაბლობის დასავლეთ დაბოლოებაზე, აკუმულატიურ ზღვისპირა დაბლობებზე, ზედაპირი სწორია, თითქმის ბრტყელი, ზღვისკენ ოდნავ დახრილი. ნაწილობრივ დაჭაობებული ზედაპირზე ტორფის და ნესტის მოყვარული მცენარეებია გავრცელებული.

ქალაქის ტერიტორიის ფარგლებში გრუნტის წყლების გამოსავლები ჭაბურღილებში დაფიქსირებულია 0.8-1.5 მ-დე, ხოლო წყლების დამყარებული დონე ცვალებადობს 0.5-დან 1.2 მ-მდე.

2.2.1 გეგმარებითი ობიექტის საინჟინრო გეოლოგიური პირობები

2020 წლის ივლისში ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა. საპროექტო შენობის განთავსების ტერიტორიაზე გაბურღული იქნა 3 ჭაბურღილი, სიღრმით 15 მ და დიამეტრით 127 მმ. კვლევის შედეგების მიხედვით, ადგილის გეოლოგიური ჭრილი ზედაპირიდან 15 მ-ის სიღრმემდე უმთავრესად აგებულია მეოთხეული ასაკის ზღვიური გენეზისის ქვიშოვანი და ხრეშოვანი გრუნტებით.

გეომორფოლოგიურად საკვლევი უბნის რელიეფი წარმოადგენს აკუმულაციური ტიპის რელიეფს, რომელიც შექმნილია ზღვის ტრანსგრესია-რეგრესიის მოქმედების შედეგად. გეოლოგიურად საკვლევი ტერიტორია აგებულია მეოთხეული ასაკის, ზღვიური გენეზისის ქვიშოვანი და ხრეშოვანი გრუნტებით.

სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. ქობულეთის ჩრდილოეთ ნაწილში. ტერიტორიის პირობითი საზღვრებია: ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან – კერძო ნაკვეთები. დასავლეთიდან _ აღმაშენებლის გამზირი.

ამ დროისათვის ტერიტორიის ნაწილი დაკავებულია შენობა-ნაგებობებით, რომლებიც შემდგომში ექვემდებარება დემონტაჟს.

ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემების საფუძველზე, შედგენილია ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები და სამშენებლოდ გამოყოფილი უბნის მიმართ გრძივი გეოლოგიური ჭრილები, რომლებიც თან ერთვის დასკვნას.

როგორც წარმოდგენილი ჭრილებიდან ჩანს, უბნის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას ღებულობენ შემდეგი სახის გრუნტები:

ფენა 1 _ ნაყარი გრუნტი – ქვიშნარის, თიხნარისა და კენჭების ნარევი. სიმძლავრე 0.80-1.50 მ-ის ფარგლებშია. გავრცელებულია მთელ სამშენებლო ტერიტორიაზე.

ფენა 2 _ ქვიშა, საშუალომარცვლოვანი ფრაქციის, საშუალო სიმკვრივის, ხრეშის შემავსებლით 25%-მდე (ქვიშა ხრეშიანი). სიმძლავრე 2.40-2.50 მ-ის ფარგლებშია. გავრცელებულია მთელ სამშენებლო ტერიტორიაზე. გრუნტი ხასიათდება მაღალი მზიდუნარიანობით.

ფენა 3 _ ხრეში, კენჭების ჩანართებით 10%-მდე, სხვადასხვამარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით 30%-მდე. სიმძლავრე 6.0-7.70 მ-ის ფარგლებშია. გავრცელებულია მთელ სამშენებლო ტერიტორიაზე. გრუნტი ხასიათდება მაღალი მზიდუნარიანობით.

ფენა 4 _ ქვიშა, წვრილმარცვლოვანი ფრაქციის, საშუალო სიმკვრივის, მუქი ნაცრისფერი, ზოგჯერ 3 სმ-მდე სისქის თიხისა და მტვეროვანი ქვიშის თხელი შუაშრეებით. სიმძლავრე 4.0-5.0 მ-ის ფარგლებშია (დაძიებული). გავრცელებულია მთელ სამშენებლო ტერიტორიაზე. გრუნტი ხასიათდება მაღალი მზიდუნარიანობით.

გრუნტის წყალი გამოვლინდა ჭაბურღილებში 5.0-5.30 მ-ის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან, ხრეშის ფენაში. საველე სამუშაოების პერიოდში მისი დონე არ შეცვლილა და დამყარდა იმავე სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, გამოკვლეული უბანი, სნ და წ 1.02.07-87 მე-10 დანართის (სავალდებულო) თანახმად მიეკუთვნება I კატეგორიას (მარტივი).

2. ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემების მიხედვით, უბნის ამგებ გრუნტებში შეიძლება გამოიყოს 3 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი (სგე):

I სგე _ ქვიშა ხრეშიანი (ფენა 2);

II სგე _ ხრეში (ფენა 3);

III სგე _ ქვიშა წვრილმარცვლოვანი (ფენა 4);

3. ფონდური მასალების მიხედვით გრუნტის წყლები არააგრესიულია ნებისმიერი მარკის ბეტონის მიმართ. სუსტად აგრესიულია არმატურის მიმართ მისი წყალში ეპიზოდურად ყოფნის დროს.

წყლის საორიენტაციო შემოდინება ქვაბულის ყოველ კვადრატულ მეტრზე მიღებული იქნას 0,2 ლ/წმ, რაც დაზუსტდეს ამოტუმბვის პროცესში.

4. დამუშავების სიძნელის მიხედვით, უბანზე გავრცელებული გრუნტები სნ და წ IV–2_82 ცხრილი 1-ის მიხედვით მიეკუთვნებიან:

_ ნაყარი გრუნტი (ფენა 1) _ ყველა სახის დამუშავებისას - II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1700 კგ/მ3 (ვუთანაბრებთ რიგითი №33 ,,ბ”);

_ ქვიშოვანი გრუნტები (ფენები 2 და 4) _ ყველა სახის დამუშავებისას - II ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 1600 კგ/მ3 (ვუთანაბრებთ რიგითი №27 ,,ბ”);

_ ხრეშოვანი გრუნტი (ფენა 2) _ ყველა სახის დამუშავებისას - III ჯგუფს, საშუალო სიმკვრივით 2100 კგ/მ3 (ვუთანაბრებთ რიგითი №33 ,,ვ”).

ქვემოთ ცხრილში მოცემულია საინჟინრო გეოლოგიური ელემენტის (სგე-ს) საანგარიშო ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრულია ნორმატიული დოკუმენტის სნ და წ 2.02.01-83 დანართი 1, ცხრილი 1, დანართი 3 ცხრილი 1,2 საცნობარო ლიტერატურის (დამპროექტემბლის საანგარიშო თეორიული ცნობარი) და ფონდურ მასალებზე დაყრდნობით:

№	გრუნტის მახასიათებლები		I სგე ფენა 2	II სგე ფენა 3	III სგე ფენა 4
1	ხვედრითი შეჭიდულობა, Cკპა;	ნორმატიული მნიშვნელობა $C^{ნ}$	–	–	8
		II ზღვრული მნიშვნელობა,	–	–	8
		I ზღვრული მნიშვნელობა, CI	–	–	5
2	შიგა ხახუნისკუთხე. φgrad.	ნორმატიული მნიშვნელობა	30	35	28
		II ზღვრული მნიშვნელობა, φII	30	35	28
		I ზღვრული მნიშვნელობა,	28	32	25
3	სიმკვრივე $ρ^{ნ}$ გ/სმ^3		1.98	2.1	1.92
4	დეფორმაციის მოდული,		30	50	18
5	საანგარიშო წინაღობა, R0 კპა		300	500	250
6	საგების კოეფიციენტი k კგძ/სმ^3		3.0	6.0	2.5

2.3 ნაპირდაცვა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ზღვისპირეთში ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ და ფართო მასშტაბიანმა ტექნოგენურმა დატვირთვამ უარყოფითი გავლენა იქონია ზღვის სანაპირო ზონაში მიმდინარე მორფოდინამიკურ პროცესებზე, რომელიც ნაპირების წარეცხვაში და მასზე აშენებული ობიექტების ნგრევაში გამოიხატა. ტექნოგენური და ანთროპოგენური დატვირთვა ყველაზე მეტად შეეხო ზღვის სანაპირო ზონის ყველაზე აქტიურ ზოლს - პლაჟს. პლაჟი ბუნებრივი ნაპირდამცავი მექანიზმია, რომელიც იცავს სანაპიროზე განლაგებულ შენობა-ნაგებობებს ნგრევისა და წარეცხვისაგან. აქედან გამომდინარე, ქ. ქობულეთის ურბან-მენეჯმენტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას ზღვის ნაპირის წარეცხვისაგან დაცვა წარმოადგენს. აშკარაა ამ პროცესის შედეგად წარმოქმნილი პრობლემის აქტუალობა და მისი დეტალური ანალიზის აუცილებლობა.

ქ. ქობულეთის სანაპირო ზოლი (დაახლოებით 11 კმ.) ერთ-ერთი ავარიული უბანია აჭარის ფარგლებში. განსაკუთრებული ავარიულობით გამოირჩევა ქალაქის სამხრეთი ნაწილის 4 კმ-ანი მონაკვეთი, სადაც ყოველი ძლიერი შტორმი იწვევს პლაჟების წარეცხვას, საყრდენი კედლის და ზღვისპირა ბულვარის საფარის დაზიანებას, მიმდებარე ტერიტორიების დასილვას. ძველი ნაპირგასწვრივი ზვინული, რომელიც ძირითადად აგებულია მდ. ჭოროხის მასალით, ამჟამად პრაქტიკულად მოშლილია - მასზე გაშენებულია ქ. ქობულეთი. მის წინ არსებული პლაჟები, ნატანის დეფიციტის გაჩენამდე შავი ზღვის სანაპიროზე, გამოირჩეოდა დიდი სიმაღლითა და სიგანით. გაბატონებული სამხრეთ-დასავლეთის და დასავლეთის ტალღების მიმართულება სანაპირო ხაზის ექსპოზიციის მიმართ განაპირობებს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, მდ. ნატანების შესართავამდე, არსებული ნატანის ნაპირგასწვრივ ნაკადს; მისი ხარჯი შეადგენს დაახლოებით 20 ათას მ^3/წელიწადში. იშვიათი, ჩრდილო-დასავლეთი მიმართულების ღელვები გადააადგილებს მდ. ნატანების ქვიშას შესართავიდან სამხრეთისაკენ და მისი გავლენის არეალი შემოიფარგლება დაახლოებით 1კმ-ით, ქ. ქობულეთის ჩრდილოეთით. ამგვარად, ქობულეთის სანაპირო ზონას პლაჟშემქმნელი ნატანი მიეწოდება მდინარეებიდან - დეხვა, კინტრიში და აჭყვა. მისი ჯამური წლიური მოცულობა შეადგენს დაახლოებით 10-11 ათას მ^3-ს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსხვილი მასალის დანაკარგი ცვეთაზე ყოველ ერთ გრძივ კილომეტრზე შეადგენს დაახლოებით 1 ათას მ^3-ს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქ. ქობულეთის 10 კმ-იან სანაპირო ზონაში სამხრეთიდან ტალღებით გამოტანილი ნატანის მოცულობა საკმარისია მხოლოდ ცვეთაზე დანაკარგების საკომპენსაციოდ.

2.4 დაცული ტერიტორიები

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორიები (პირდაპირი მანძილი საპროექტო ტერიტორიიდან დაცულ ტერიტორიებამდე 780 მეტრს შეადგენს) ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და აღკვეთილია, რომლებიც კოლხეთის დაცული ტერიტორიების შემადგენლობაში შედიან და მოიცავენ ქობულეთის ზღვისპირა ვაკის ჩრდილოეთ ნაწილს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ იუნესკომ კოლხურ ტყეებსა და ჭარბტენიან ტერიტორიებს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა, რომელთა შემადგენლობაში ქობულეთის დაცული ტერიტორიებიც შედის.

ქობულეთის ჭარბტენიანი ტერიტორია ფართობრივი შეზღუდულობის მიუხედავად (603.47 ჰა) მნიშვნელოვანი ღირებულების ლანდშაფტური მემკვიდრეობის ობიექტს წარმოადგენს. იგი, უპირველეს ყოვლისა, ბოტანიკური თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას. მისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი, პირველადი, ან თითქმის პირველადი სახით დღემდე შემორჩენილ, ფლორისტული თვალსაზრისით მეტად საინტერესო სფაგნუმიან-ბალახოვან ჭაობს – ,,ისპანი“-2-ს უკავია. ეს ჭაობი გამოირჩევა ტორფის ბალიშების განვითარებით, რომლებიც სფაგნუმის ხავსებითა და მათზე არსებული ბალახეული მცენარეთა სინუზიებითაა შექმნილი. ,,ისპანი“-2 ჭაობს გარკვეულად თვითმყოფადობას ანიჭებს მის მცენარეულ საფარში, ერთი მხრივ, ბორეალური (ტუნდრის და ტაიგის) ფლორის ელემენტების (Sphagnum imbricatum, S. palustre, S. auriculatum; Drosera rotundifolia, Rhynhospora alba, Carex lasiocarpa და სხვ.), ხოლო, მეორე მხრივ, კოლხური ფლორის ისეთი ელემენტები, როგორიცაა: Rhododendron ponticum, R. luteu.

,,ისპანი“-2 ჭაობის მცენარეული საფარის ბუნებრივ მდგომარეობაში დღემდე შემორჩენის მიზეზის არსი მის მიუდგომლობაშია. ამ ჭაობში ტორფის ერთიანი ჰორიზონტის სისქე 5-9 მ საზღვრებში ცვალებადობს. აღნიშნულის გამო, ეს ჭაობი გაუვალია და მას ადგილობრივი მოსახლეობა საძოვრად და სათიბად ვერ იყენებს. ,,ისპანი“-2 ჭაობთან უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიები საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენება არა მარტო საძოვრებად და სათიბებად, არამედ სახნავ-სათესად. ,,ისპანი“-2 ჭაობი გადაურჩა ტორფის კარიერად გამოყენებას. ტორფის მოპოვებას და დაშრობის მიზნით ჩატარებულ სამელიორაციო სამუშაოებს ადგილი ჰქონდა ,,ისპანი“-1 და

,,ისპანი“-3 ჭაობების ტერიტორიებზე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ლანდშაფტის დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და აღკვეთილის ტერიტორია ორ ნაწილად იყოფა. მისი ჩრდილოეთი ნაწილი ,,ისპანი“-2 ჭაობს უკავია. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს ,,ისპანი“-1 ჭაობი. აღნიშნული ჭაობების პერიფერიებზე, აგრეთვე მდ. ტოგონისა და შავი ღელის გასწვრივ ალაგ-ალაგ აღინიშნება მეორადი ტყე-ბუჩქნარების ვიწრო ზოლი.

,,ისპანი“-1 ჭაობი, სამელიორაციო სამუშაოების ჩატარების შედეგად, ძლიერ დეგრადირებულია. იგი დასერილია წყალსაწრეტი და წყალსადინარი არხებით. ჭაობის ძველი ზედაპირი ალაგ-ალაგ დაკორდებულია და ადგილობრივი მოსახლეობა მას სათიბ-საძოვრად იყენებს.

ურბანიზებული ზოლის უშუალო სიახლოვე ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიასთან საშიშროებას უქმნის ამ უკანასკნელის პირველად და ასევე, სხვადასხვა ხარისხით სახეშეცვლილ ეკოსისტემებს.

ფლორა

ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და აღკვეთილის ტერიტორია, უპირველეს ყოვლისა, ფლორისტული შედგენილობის თავისებურებით, განსაკუთრებულობით და სათუთობით იქცევს ყურადღებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკმაოდ ურბანიზებული ზოლის უშუალო სიახლოვის მიუხედავად (ტერიტორიის სამხრეთი კიდიდან ქობულეთის საკურორტო ზონამდე მანძილი 3 კმ-ს არ აღემატება), ხოლო მისი აღმოსავლეთი კიდე უშუალოდ ეკვრის სოფლებს ოჩხამური, ცეცხლაური, მუხაესტატეს მაცხოვრებელთა კარმიდამოებს და სავარგულებს. ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე ჭაობის მცენარეული საფარი თითქმის ხელუხლებლად არის შემონახული. ამის ძირითადი მიზეზი არის ჭაობში ტორფის ერთიანი ჰორიზონტის დიდი სისქე (5 –9 მ), რაც ჭაობის ზედაპირს გაუვალს ხდის და მოსახლეობა მას საძოვრად ვერ იყენებს. ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიაზე პირველადი სახით შემორჩენილია ბალახოვან-სფაგნუმიანი ჭაობი, რომელშიც საკმაოდ არის გავრცელებული იმერული ისლი (MOLINIA LITORALIS). ჭაობის ზედაპირის ზოგიერთ მცირე უბანზე დომინანტია ისლის რომელიმე სხვა სახეობა (Carex lasiocarpa; Carex riparia და სხვ.). ისლიანები და სხვა ბალახეულთა სინუზიები განვითარებულია სფაგნუმის ხავსებით შექმნილ ერთიან საფარზე. სფაგნუმიან საფარს კი ქობულეთის ჭაობში ძირითადად ქმნის Sphagnum papillosum, Sphagnum imbricatum და Sphagnum palustre-ს სახეობები.

ბალახოვანი სინუზიებში იშვიათია მრგვალფოთლა დროზერა (DROSERA ROTUNDIFOLIA), სამეფო გვიმრა (OSMUNDA REGALIS) და სხვ. ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიაზე შემონახულ ტორფიან ჭაობს თვითმყოფადობას ანიჭებს იელის (Rhododendron luteum) და შქერის (Rhododendron ponticum) არსებობა მის მცენარეულ საფარში, აგრეთვე ჭაობის საერთო ზედაპირიდან უმნიშვნელოდ ამაღლებული ტორფის ბალიშები (გუმბათები), რომლებიც სფაგნუმის ხავსებით არიან შექმნილი. ჭაობის პერიფერიულ ზოლში ყურადღებას იპყრობს ხეჭრელი (FRANGULA ALNUS).

მდინარეების ტოგონის და შავი ღელის გასწვრივ რომლებიც ,,ისპანი”-2-ის ჭაობის ჩრდილო-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ მხარეს გაედინებიან, 4-5 ათეული წლის წინ დაჭაობებული მურყნარის კარგად შემონახული მასივები იყო 200-600 მ-ის სიგანის ზოლებად განვითარებული. ამჟამად მათ ადგილზე ძლიერ დეგრადირებული, მეტწილად ბუჩქოვანი ფრაგმენტებია შემორჩენილი, რომლებიც შეიცავენ მურყანის (ALNUS BARBATA), ლაფანის (PTEROCARYA PTEROCARYA), იმერული მუხის (QUERCUS IMERETINA), ნეკერჩხლის (ACER CAMPECTRE), ჭყორის (llex colchica), იმერული ხეჭრელის (FRANGULA ALNUS) დაბუჩქულ ეგზემპლარებს ისინი გადაბარდულია მაყვლით, ეკალღიჭით (Smilax excelsa), ღვედკეცით (PERIPLOCA GRAECA), VITIS SYLVESTRIS, სუროთი (HEDERA COLCHICA) და სხვა ლიანებით.

ფაუნა

ქობულეთის ჭაობები საკმაოდ მდიდარია ფაუნით. აქ მსხვილი ძუძუმწოვრებიდან ბინადრობს: წავი (Lutra lutra), ტურა (Canis aureus), ტყის კატა (Felis silvestris), ნუტრია (Myocastor coypus), მაჩვი (Meles meles). ზამთრობით შეიძლება შეგვხვდეს მგელი (Vulpes vulpes) და შველი (Capreolus capreolus). წვრილი ძუძუმწოვრებიდან: აღმოსავლეთ ევროპული ზღარბი (Erinaceus concolor), კავკასიური თხუნელა (Talpa caucasica), რუხი ვირთაგვა (Rattus norvegicus), აქ შესაძლოა აგრეთვე შემდეგი სახეობების არსებობა: ვოლნუხინის ბიგა (Sorex volnuchini), გრძელკუდა კბილთეთრა (Crocidura russula), წვეტყურა მღამიობი (Myotis blythii), ჯუჯა ღამურა (Pipistrellus pipistrellus), წყლის მემინდვრია (Arvicola terestris), კავკასიური ტყის თაგვი (Silvimu silvaticuss), სახლის თაგვი (Mus musculus), შავი ვირთაგვა (Rattus rattus).

სახელმწიფო ნაკრძალი, აღკვეთილი და მიმდებარე ტერიტორიები მნიშვნელოვანია როგორც დასასვენებელი ადგილები გადამფრენი წყლისა და ჭაობის ფრინველებისათვის. აქ შეიძლება შევხვდეთ ყველა იმ ფრინველს, რომელიც გვხვდება კოლხეთის დაბლობზე. მათ შორის: Anas strepera, Anser anser, Melanitta fusca, Scolopax rusticola და Netta rufina, ასევე მობუდარი – Aquila pomarina, Accipiter nisus, Ardea cinerea, Circus aeruginosus, Egretta garzetta, Gallinago gallinago, Lymnocryptes minimus. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ აქ დიდი რაოდენობით გვხვდება მოზამთრე (Circus cyaneus) და გადამფრენი (C. pygargus და C. macrourus) სახეობები ძელქორებისა.

ქვეწარმავლების სახეობრივი რაოდენობა აქ მცირეა და შემოიფარგლება ჭაობის კუთი (Emys orbicularis), მარდი (Lacerta agilis) და საშუალო ხვლიკებით (Lacerta media), წყლისა (Natrix tesselata) და ჩვეულებრივი ანკარათი (Natrix natrix) და ესკულაპის მცურავით (Elaphe longisima). ამფიბიებიდან აქ გვხვდება ჩვეულებრივი (Triturus vulgaris) და სავარცხლიანი ტრიტონი (Triturus cristatus), ტბის ბაყაყი (Rana ridibunda), ჩვეულებრივი ვასაკა (Hyla arborea), მწვანე (Bufo viridis) და კავკასიური გომბეშო (Bufo verucozissima). ტერიტორია მდიდარია უხერხემლოებით, რომლებიც სადღეისოდ არ არის სათანადოდ შესწავლილი. მდინარეებში აღინიშნება თევზების შემდეგი სახეობები: Silurus glanis, Leuciscus cephalus, Cyprinus carpio, Castanea sativa.

ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული უბანი ქობულეთი GE0000060

ზურმუხტის ქსელის შეთავაზებული უბანი „ქობულეთი“-ს მახასიათებლები სტანდარტული ფორმის მიხედვით შემდეგია:

- სარეგისტრაციო კოდი -
- GE0000060;
- ფართობი - 782.7156 ჰა;
- გრძედი - 732767.000000; განედი - 4637778.000000;
- ბიოგეოგრაფიული რეგიონი - შავი ზღვის (100%).

ზურმუხტის ქსელის მიღებული უბანის ნომინირების საფუძველია 1 ტიპის ჰაბიტატი, კერძოდ:

- D1.2 ჭაობის ზედაპირი

საიტის ნომინირების საფუძველია 20 სახეობა ფრინველი, 1 სახეობა ძუძუმწოვარი და 1 სახეობა რეპტილია.

3 გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ფაქტორები

გეგმარებითი ობიექტის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებამ გარემოს კომპონენტებზე შესაძლოა იქონიოს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ ზემოქმედება. მოსალოდნელი ზემოქმედება შესაძლოა იყოს დადებითიც და უარყოფითიც, რომელთა ხარისხი დამოკიდებული იქნება ხედვების სპეციფიკაზე, მის განხორციელების ხანგრძლივობაზე და გარემოს კომპონენტების მგრძნობელობის ხარისხზე.

კონცეფციის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების სახეები შეიძლება იყოს:

- ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების ემისიები;
- ხმაური და ვიბრაცია გავრცელება;
- დაბინძურებული ჩამდინარე წყლებით დაბინძურება;
- ნარჩენებით დაბინძურება;
- ავარიული დაღვრებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება.

უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელია შემდეგ რეცეპტორებზე:

- ატმოსფერული ჰაერი;
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები;
- ნიადაგი და გრუნტი;
- სოციალური გარემო;
- ბიოლოგიური გარემო;

პროექტის განხორციელების შედეგად ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

3.1 ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები და ხმაურის გავრცელება

ქალაქ ქობულეთში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიებისა და ხმაურის გავრცელების ერთერთ მთავარ წყაროს ავტოტრანსპორტი წარმოადგენს. საპროექტო ტერიტორია ახლოს მდებარეობს ქალაქ ქობულეთის ერთერთ ყველაზე დატვირთულ ქუჩასთან (დ. აღმაშენებლის გამზ.), სადაც ავტოტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობა საკმაოდ მაღალია. გარდა ავტოტრანსპორტისა, ქალაქ ქობულეთში ფუნქციონირებს სხვადასხვა პროფილის ობიექტები, რომელთა საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში იფრქვევა მავნე ნივთიერებები, ასეთი ობიექტებია:

- საწვავის შენახვა და რეალიზაციის ობიექტები;
- ავტომობილების ტექ. მომსახურების და რემონტის ობიექტები;
- სამშენებლო მასალების წარმოება (ბეტონის ან/და ბეტონის ნაკეთობების წარმოება) ობიექტები;
- კვების პროდუქტების წარმოების ობიექტები
- სამშენებლო მასალების წარმოების ობიექტები;
- ხის დამუშავება და ქაღალდის წარმოების ობიექტები.

აღნიშნული ობიექტების ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა ისეთი მავნე ნივთიერებები როგორებიცაა: მყარი ნივთიერებები, მტვერი (შეწონილი ნაწილაკები), ჭვარტლი, აბრაზიული მტვერი, რკინის ოქსიდები, ცემენტის მტვერი, შედუღების აეროზოლი, გოგირდის ორჟანგი, გოგირდწყალბადი, აზოტის ჟანგეულები, ნახშირჟანგი, ნახშირწყალბადები, ბენზოლი, მეთანი, ნაჯერი ნახშირწყალბადები (C6-C10), ნაჯერი ნახშირწყალბადები (C1-C5), ნაჯერი ნახშირწყალბადები (C12-C19), აქროლადი ორგანული ნაერთები, ტყვია, სპილენძი, ნიკელი, ნახშირორჟანგი და სხვა.

ქალაქ ქობულეთში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გამზომი ავტომატური სადგური არ არსებობს, ამიტომ ძნელია არსებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხი დღეის მდგომარეობით შეფასდეს. თუმცა წარსულში ჩატარებული კვლევების მიხედვით, ქალაქ ქობულეთის ატმოსფერული ჰაერის ხარისხი დამაკმაყოფილებელია.

უშუალოდ საპროექტო ტერიტორიასთან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მასშტაბური ობიექტი არაა წარმოდგენილი.

საპროექტო მრავალსართულიანი საცხოვრებლის მოწყობისას ადგილი ექნება ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკების გავრცელებას და ხმაურის დონის მომატებას, რაც ძირითადად დაკავშირებული იქნება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული საცხოვრისების დემონტაჟთან და საპროექტო საცხოვრებლის მოწყობის სამუშაოებთან. თუმცა მოსალოდნელი უარყოფითი

ზემოქმედება არ იქნება მუდმივი ხასიათის და მისი ხანგრძლივობა დამოკიდებული იქნება დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების ხანგრძლივობასთან.

მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებისთვის, სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელმა კომპანიამ უნდა დაიცვას გარემოსდაცვითი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და გაატაროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. შედეგად, ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი იქნება დაბალი.

3.2 ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება

საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მცირე ტერიტორიაზეა წარმოდგენილი, ძირითადად იქ სადაც ადგილობრივ მცხოვრებლებს მცირე ბაღ-ბოსტნები აქვთ მოწყობილი. საპროექტო ტერიტორიის ძირითადი ნაწილი კერძო საცხოვრისებს უკავია, შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება. თუმცა, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ნიადაგზე გრუნტზე ზემოქმედებას, რაც დაკავშირებული იქნება:

- დაგეგმილი სამუშაოების არასწორ წარმართვასთან;
- ავარიულ დაღვრებთან;
- და ნარჩენების არასათანადო მართვასთან.

სამუშაოების დაწყებამდე უნდა შეფასდეს ზემოქმედებას დაქვემდებარებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ფართობი და სავარაუდო მოცულობა, რომლიც მართვაც განხორციელდება საქართველოს მთავრობის №424 დადგენილებით დამტკიცებული „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

მნიშვნელოვანია, რომ მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად გატარდეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მოხსნილი ნიადაგისა და გრუნტის მართვა განხორციელდეს შესაბამისი გარემოსდაცვითი პირობების გათვალისწინებით.

3.3 ზედაპირული და მიწისქვეშა წლების დაბინძურება

საპროექტო ტერიტორიიდან შავ ზღვამდე პირდაპირი მანძილი 195 მეტრს შეადგენს. საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით გრუნტის წყლები გახსნილია 5.0-5.5მ სიღრმეზე.

იმის გათვალისწინებით, რომ საროექტო ტერიტორიასთან ზედაპირული წყლის ობიექტები ახლოს მდებარეობენ, იზრდება მათზე უარყოფითი ზემოქმედების რისკები. უარყოფითი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება:

- ავარიულ დაღვრებთან;
- სამუშაოების პირობების დარღვევასთან;
- ნარჩენების არასათანადო მართვასთან;

უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად, სამუშაოების განხორციელების ეტაპზე შემუშავებული უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე რეაგირების გეგმა და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.

გასათვალისწინებელია, რომ საპროექტო ტერიტორიასთან მოწყობილია შესაბამისი სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელები, რომელზეც დაერთდება საპროექტო შენობის სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელები. შესაბამისად ფუნქციონირების ეტაპზე ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არაა.

შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებითა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის შემთხვევაში ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

3.4 ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

საპროექტო ტერიტორიაზე ძირითადად კულტურული მცენარეებია წარმოდგენილი, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას აქვს გაშენებული. ხოლო განაპირა ქუჩებზე ძირითადად დეკორატიული მცენარეებს ვხვდებით. პროექტის განხორციელებამდე, საჭიროების შემთხვევაში უნდა შეფასდეს მოჭრას ან გადარგვას დაქვემდებარებული ხე-მცენარეების რაოდენობა და მათი სახეობა, რაც შეთანხმდება შესაბამის უწყებებთან.

